# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბექდ-ვერი სიცოცხლეა, ცდილობით და ჯობით ბერ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 22 მაისი. 2023 წ. №57 (9589) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ტყუილებს არ დაუჯეროთ!



**ირაკლი მენაღარიშვილი:**

## ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, იაროს დასავლური გზით და არავის მისცემს უფლებას, ამ გზიდან გადაუხვიოს!

იხ. 4 გვ.

ფრთხილად, სასიკვდილოა!

## ჩონჩხადქცეული „ფიურერი“ სტრასბურგის სასამართლომ „გამოაჯანმრთელა“...



იხ. 3 გვ.





## ნაცებმა სრულიად უნამუსო და უსინდისო განცხადებები გააკეთეს!

## არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში!

იყიდება, იყიდება საქართველო!

## ოქტომბრიდან მოყოლებული რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 543 მიწის ნაკვეთი და 4 745 ბინა იყიდეს

3



7

100

რევაზ ჯაფარიძე

## ანთებული სიტყვით ნაზიდი მქიმე ჯვარი

ერთგული სოციალისტების ფესტივალი!

## სამცხე-ჯავახეთში დახვეწილი, გამორჩეული, გემოვნებიანი მაყურებელი ცხოვრობს!



იხ. 7 გვ.



9

## შარლენი და მეგრელები

ომის შემდეგ

## რუსულ ავიაკომპანიებს აშშ-ში დამზადებული თვითმფრინავების ნაწილები მიეწოდებოდა

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ აშშ-მა მსოფლიოს 40-მდე ქვეყანასთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესა, რათა შეიარაღებაზე, თვითმფრინავების ნაწილებზე და სხვა საქონელზე მოსკოვის წვდომა შეეზღუდა. სანქციები შეეხო რუსულ ავიაკომპანიებს, მათ შორის „აეროფლოტს“, მის შვილობილ „როსიას“ და სხვებს.

თუმცა, მიუხედავად ამისა, გასულ წელს დადასტურდა არაერთი შემთხვევა, როდესაც რუსეთში თვითმფრინავების ნაწილები გაიგზავნა. ამის შესახებ მეტყველებს რუსეთის საბაჟო სამსახურების მონაცემები, რომლებზეც წვდომა The New York Times-მა მოიპოვა.

მონაცემების თანახმად, ათობით მილიონი დოლარის ღირებულების თვითმფრინავების ნაწილები გაეგზავნა სანქცირებულ რუსულ ავიაკომპანიებს, მათ შორის „როსიას“, „აეროფლოტს“, „ურალის ავიახაზებს“, S7-ს და „პობედას“.

რამდენიმე დღის წინ აშშ-ში დააკავეს მაიამიში მცხოვრები რუსეთის მოქალაქე ოლეგ პაცულია და მისი ბიზნესპარტნიორი, რომლებსაც ბრალი აშშ-ის საექსპორტო კონტროლის დარღვევა და ფულის გათეთრება ედება ბრალად. როგორც გაირკვა, ოლეგ პაცულია ფლორიდაში, თურქეთსა და რუსეთში მოქმედი კომპანიების გამოყენებით ავიაკომპანია „როსიას“ საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებოდა.

გასულ წელს „აეროფლოტის“ საწყობებში მოხვდა Boeing-ის მიერ აშშ-ში დამზადებული თვითმფრინავების ნაწილები. რუსეთში მიწოდება ნაკლებად ცნობილი სავაჭრო კომპანიების, ჩინეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში თავისუფალი ვაჭრობის ზონებისა და ინდუსტრიალური პარკების გავლით ხორციელდებოდა.

საბაჟო მონაცემებში ფიგურირებს 5000-ზე მეტი ინდივიდუალური გზავნილი, რომლებსაც 2022 წლის 8-თვიან პერიოდში ჰქონდა ადგილი. Boeing-ში აცხადებენ, რომ რუსეთში თვითმფრინავების ნაწილების მიწოდება 2022 წლის დასაწყისში შეწყვიტეს. ნაწილების უმეტესობა რუსეთში არაბთა გაერთიანებული საამიროების, თურქეთის, ჩინეთისა და მალდივის კუნძულების გავლით მოხვდა, თუმცა დადასტურდა ისეთი გზავნილებიც, რომლებიც ავიაკომპანია „როსიამ“ უშუალოდ ევროპიდან ან აშშ-დან მიიღო.

# „ნაცშპანის“ საქორწინო მორალი

**სამი დღეა ატეხილია სკანდალი, რომ სერგეი ლავროვის სიძის ძმას ქორწილი ჰქონდა კახეთში, სასტუმრო „ყვარლის ტბაზე“.**

ამასთან დაკავშირებით ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** სოციალურ ქსელში რუსი მუსიკოსის, ისრაელის მოქალაქის, მიკა ვინოკუროვის საქართველოში სტუმრობას და მისი ქორწილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება.

ანალიტიკოსის თქმით, **ნაცსექტანტები უსრულებენ კრემლს დავალებას, რომ ჩაუშხამონ ქორწილი ახალგაზრდა მუსიკოსს, რომელიც მთელი თავისი არსებით უკრაინელების მხარეზეა. ესაა კრემსითი ხოშტარიების, ვაშაძეების, ხაბეიშვილების „მორალი“! „მიკა ვინოკუროვის რეპერტუარს არ ვიცნობდი, მოვუსმინე რამდენიმე ვიდეოკლიპს. პოლიტიკურად ოპოზიციური ქვეტექსტები აქვს... და ამას უწყობენ აქციას უზნეო ნაცსექტანტები, მისი სიმღერის ქვეტექსტებით მიხვდებით, რომ ის უკრაინელების მხარეზეა.**

* * *

**შეგახსენებთ, დაბრმავებულო ნაცებო, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ნიკიტა მიხალკოვის შვილის ქორწილი დიდი ზარზეიმით ჩაატარეთ საქართველოში.**

**ისრაელის მოქალაქეს არა აქვს უფლება, ხომ?!**

**მართლაცდა, ვაი თქვენს პატრონს, ქვეყნის მტრებო!**

## „ახაშენი ღვინის კურორტი და სპა“:

# ვინ ლავროვი, რა ლავროვი!..

**სასტუმრო „ახაშენი ღვინის კურორტი და სპა“ განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმად, მედიაში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს მათ სასტუმროში სერგეი ლავროვის შვილი სტუმრობს. „ვეხმაურებით მედიაში გავრცელებულ დეზინფორმაციას.**

**ვაცხადებთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია ჩვენს სასტუმროში ლავროვის შვილის სტუმრობასა და საქორწილო ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით არის ტყუილი და მიზანმიმართულად გავრცელებული პროვოკაცია.**

**სასტუმრო „ახაშენი ღვინის კურორტსა და სპას“ ლავროვის გვარით დაჯავშნილი სტუმარი არ ჰყავს“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

# მთავარსარდალი ხელისუფლებას, მოუწოდებს!



**...ამ ქვეყანას, ამ ხალხს გავლილი აქვს ყველაფერი უკვე. ამ ხალხს გაფრთხილება და დაცვა უნდა. ყველას გვაქვს ჩვენი წილი ვალდებულება. საზოგადოება ყველაფერს აკეთებს და როგორც ვთქვი, საზოგადოების მიღწევა არის, რომ ეს ხალხი დღეს წავიდა, მაგრამ საზოგადოებას ამაზე მეტი არ შეუძლია.**

**მეც მაქვს ჩემი ვალდებულება, რომელიც არის ის, რომ ვიყო სადარაჯოზე. ის სიტყვა, რომელიც მე დამრჩენია, ის სიტყვა გამოვიყენო ყველგან, სადაც საჭირო არის. ცხადია, მთავრობას აქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. პირველ რიგში საზღვარი უნდა იყოს დაცული. რას ნიშნავს, არ ვიცოდით ვინ შემოვიდა? რას ნიშნავს, სანქცირებული და როგორი სანქცირებული თან, ყველაზე მაღალი თანამდებობის პირის შვილი, ჩამოდის ქვეყანაში და არ ვიცით? გუშინ არ იცოდნენ რომ თურმე სააკაშვილი შემოსული იყო, დღეს არ იციან, რომ შემოდიან რუსები და სანქცირებული რუსები.**

**მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, საჩქაროდ შემოიტანოს სიები, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, რომლებიც აწესებენ სანქციებს, სიები ვინ არიან სანქცირებული და ამ სიებით ვიხელმძღვანელოთ ყველა საზღვარზე, რომ არავინ შემოვიდეს, ვინც სანქცირებულია. ესაა ამ ქვეყნის მინიმალური დაცვა!..**



# ათი წლის განმავლობაში 30 00 დევნილ ოჯახს ახალი ბინები გადაეცა

**2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, თითქმის 30 000 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინები. ეს არის დაახლოებით 100 000 ადამიანი, რაც, დამეთანხმებით, ძალიან მასშტაბურია,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ოჯახებისთვის ბინების მშენებლობის ადგილზე კაფსულის ჩადების ცერემონიის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, თბილისში, დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, 2 400 ბინის მშენებლობა დაიწყო და სამუშაოები 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.

**„მინდა მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისთვის. ჩვენ დავიწყეთ დევნილებისთვის ბინების მშენებლობის ძალიან მასშტაბური პროექტი. თქვენ ახლა ხედავთ უკვე მიმდინარე სამუშაოებს. აქ არის გამოყოფილი შვიდი ჰექტარი. სახელმწიფომ გამოყო ეს მიწა და 245 მილიონ ლარამდე იხარჯება, 11 კორპუსი აშენდება, 2400 ბინას ითვალისწინებს აღნიშნული პროექტი. 2400 ოჯახს გადაეცემა აქ ბინები და სამუშაოები დასრულდება დაახლოებით ორ წელიწადში, 2025 წლის ბოლომდე მაქსიმუმ!.. ამ მასშტაბური პროექტის გარდა, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, ჩვენ დავიწყებთ ზუგდიდში ასევე მასშტაბურ პროექტს.**

**იქ არის 1700 ბინაზე გათვლილი პროექტი, იქაც არის მასშტაბური სამუშაოები განსაზღვრული. ჩატარებულია ტენდერი და სამუშაოები ძალიან მალე დაიწყება. ქუთაისში დავიწყეთ ანალოგიურად, – 700 ოჯახზე არის გათვლილი პროექტი. რუსთავში 800 ოჯახზე იქნება გათვლილი პროექტი და ბორჯომში 150 ოჯახზე იქნება სამუშაოები დაწყებული. ჯამურად, თითქმის 7000-მდე ოჯახი მიიღებს ამ ახალაშენებულ კორპუსებში სრულად გარემონტებულ ბინებს.**

**ასე რომ, ამ მიმართულებით ძალიან მაგარი ტემპებით მივდივართ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ჩვენი დაბრუნება აფხაზეთსა და ცხინვალში. ეს ყველაფერი ჩვენს დევნილებს დარჩებათ საკუთრებაში, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა, მიზანი უნდა იყოს ჩვენი დაბრუნება აფხაზეთში და ჩვენი ქვეყნის გაერთიანება.**

**ამიტომ, ყველაფერი, რაც დაგვაახლოებს ამ დიდ საერთო ეროვნულ მიზანთან, ეს ყველაფერი არის ჩვენთვის მთავარი ამოცანა და მთავარი გასაკეთებელი საქმე. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ზურა აზარაშვილს, მის გუნდს, ძალიან აქტიურად დაიწყეს ამ სამუშაოების განხორციელება, ტენდერები ჩატარებულია, აუქციონები გამოცხადებულია, გამარჯვებულები არიან ძალიან კარგი კომპანიები და ჩვენს დევნილებს მალე გადაეცემათ კომფორტული საცხოვრებელი ფართები“, – განაცხადა პრემიერმა.**

**შენობის ფუნდამენტში სიმბოლური კაფსულა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა და სამშენებლო კომპანია „ანაგის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გოგოლიშვილმა ჩადეს. თბილისში, დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, 2 400 ბინის მშენებლობა დაიწყო. თვალჭრელიძის ქუჩაზე სულ 11 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კორპუსი აშენდება.**

## ირაკლი კობახიძე:

# ჩვენ გვაქვს მკაფიო პოლიტიკა, სანქციებს არ ვაწესებთ, მაგრამ...

**...დიდი ხნის განმავლობაში რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, მათი მხარდამჭერები, ასევე ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ვერ ბედავდნენ სანქციების დაწესებაზე საუბარს. პირიქით, აცხადებდნენ, რომ მათი მოთხოვნა არ იყო რუსეთისთვის სანქციების დაწესება. ძალიან მარტივად განიმარტა, რას გამოიწვევდა საქართველოს მიერ რუსეთისთვის სანქციების დაწესება. ეს იქნებოდა მინუს 10-დან მინუს 18 პროცენტამდე ეკონომიკის ვარდნა, რაც არის სრული კატასტროფა ქართული ეკონომიკისთვის. ახლა დაიწყეს საუბარი, რომ საქართველომ თურმე უნდა დაუწესოს სანქციები რუსეთის ფედერაციას, რაც ნიშნავს საკუთარი ხალხის, ქართველი საზოგადოების და ქართული სახელმწიფოს დასჯას. ეს არის მარტივი რეალობა. ასეთ პირობებში როდესაც ითხოვ რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, ამის უკან დგას ერთადერთი მიზანი – ეს არის ქვეყანაში ვითარების დამძიმება, ეკონომიკური პრობლემების შექმნა. ამაზე აქვთ გათვლა, ამის საფუძველზე უნდათ ქაოსის შექმნა, არეულობის მოწყობა. იმედი აქვთ, ეს მიგვიყვანს მეორე ფრონტამდე. თუმცა, მათი ეს მცდელობა კიდევ ერთხელ იქნება წარუმატებელი. ჩვენ გვაქვს მკაფიო პოლიტიკა, სანქციებს არ ვაწესებთ, მაგრამ არც სანქციების გვერდის ავლა არ იქნება საქართველოში უზრუნველყოფილი. ამაზე ვართ პასუხისმგებელი თავიდან ბოლომდე“.**

# ოპოზიციის თვითმიზანი საბოტაჟია!

**...დარჩენილია 4 კანდიდატი, საიდანაც ოპოზიციას ვთავაზობთ, წარმოადგინოს მათთვის მისაღები კანდიდატები და მარტივად ისაუბრონ იმაზე, თუ რომელი კანდიდატი აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არიან წარმოდგენილი კვალიფიციური კანდიდატები, აქედან გამომდინარე, ოპოზიციას აქვს არჩევანი. თუ ისინი იტყვიან უარს რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერაზე, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ მათი თვითმიზანია საბოტაჟი“,** – ამბობს კობახიძე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის ასარჩევად, მესამე ტური გაიმართება. მანამდე კი, მმართველი გუნდი ოპონენტებს კონსულტაციას სთავაზობს. მესამე ტურში ოთხი კანდიდატი გადავიდა.

## მიხეილ დუნდუა: „პოზიტიური მშვიდობის ინდექსის“ მსოფლიო რეიტინგში საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა

**საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. კვლევა ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის კორუფციის დაბალი დონე, კარგად ფუნქციონირებადი მთავრობა, ჯანსაღი ბიზნესგარემო და ასე შემდეგ,** – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დუნდუამ „პოზიტიური მშვიდობის ინდექსზე“ საუბრისას განაცხადა.



**„პოზიტიური მშვიდობის ინდექსი“, რომელსაც იკვლევს ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი (IEP) – უძლიერესი საერთაშორისო შემფასებელი ცენტრი, ორიენტირებულია ისეთ მნიშვნელოვან პოზიტიურ ფაქტორებზე მშვიდობის, როგორიცაა: კეთილსინდისიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ასევე, რეფორმები, ურთიერთობები და გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ქვეყნის შიგნით სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება. საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის კორუფციის დაბალი დონე, კარგად ფუნქციონირებადი მთავრობა, ჯანსაღი ბიზნეს გარემო და ასე შემდეგ. საქართველო არის ლიდერი სამეზობლოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩება,** – განაცხადა **მიხეილ დუნდუამ.**

2023 წლის პოზიტიური მშვიდობის ინდექსის მსოფლიო რეიტინგში საქართველომ პოზიცია 14 ერთეულით გაიუმჯობესა, 53 ადგილზე გავიდა და პოზიტიური მშვიდობის მაღალი დონის სტატუსი დაიმკვიდრა. ამასთან, პოზიტიური მშვიდობის გრძელვადიანი და ათწლოვანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში დასახელდა.



# დაბრუნდება მიშა პოლიტიკაში?!



ლელურად, პოლარიზაციას გაზრდის, რაც თავის მხრივ ხელსიუფლებას დაეხმარება, რომ საკუთარი ამომრჩევლის რიგები კიდევ უფრო გაზარდოს.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში ისევ გააქტიურდება და მისი განცხადებები გასაკვირი არ არის, რადგან ეს ადამიანი მრავალსტანდარტიანია და როცა, რაც უნდა იმას ამბობს. აბაშიძე აცხადებს, რომ მან არაერთხელ მოიტყუა, თითქოს უკრაინის მოქალაქეა და ქართულ პოლიტიკაში არ ერ-

# ჩონჩხადქცეული „ფიურერი“ სტრასბურგის სასამართლომ „გამოაჯანმრთელა“...

**„ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილთან კონსულტაციებს იწყებს და არ არის გამორიცხული ის 2024 წლის არჩევნებისთვის პრემიერის კანდიდატად დაასახელონ. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში ყოფნის განმავლობაში მუდმივად აცხადებს, რომ ის ქართული პოლიტიკით აღარ არის დაინტერესებული, ბოლო სამი დღეა კვლავ გააქტიურდა.**

მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და ფეისბუკზე წერს, რომ „ოცნებასთან“ ნებისმიერი თანამშრომლობა ანტიეროვნული აქტია.

პატიმრობაში მყოფი ექს-პრეზიდენტი, გამოქვეყნებული პოსტით, 5 ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანდიდატებისთვის ხმის მიცემის გარდა, სავარაუდოდ, ლევან ბეჟაშვილის პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტზე წარდგენასაც ეხმაურება. თუმცა, ზოგიერთებმა მისი ეს განცხადება პარლამენტის დატოვების მოწოდებად აღიქვეს!

**„ნებისმიერი თანამშრომლობა პარლამენტში თუ მის გარეთ უკვე ღიად პროოკუპაციურ რეჟიმთან არის ანტიეროვნული აქტი“**, – წერს სააკაშვილი.

პარტიაში კი სრული ქაოსია. ვინ რა განცხადებას აკეთებს, ვინ ვის ემორჩილება ან არ ემორჩილება, გაუგებარია. ის, ვინც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში „ოცნების“ კანდიდატებს 17 მაისს მხარი დაუჭირა, სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენენ. **ნატო და როსტომ ჩხეიძეები, ნიკა მაჭუტაძე, ბაჩუკი ქარდავა**, რომლებმაც მხარი დაუჭირეს, ფრაქციიდან უკვე გარიცხულები არიან.

ლევან ბეჟაშვილი კი მედიასთან ადასტურებს, რომ ჩაერთვება თუ არა აქტიურად პოლიტიკაში მიხეილ სააკაშვილი, პარტია ამის პასუხს „ვივა მედის“ პალატიდან ელოდება.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაუბრუნდა მიხეილ სააკაშვილს, ახალი არჩევნების შემდეგ და ბუნებრივია, ჩვენ გვექნება კონსულტაციები, მათ შორის ადვოკატის მეშვეობით, ასევე სხვა პირების მეშვეობით, რა გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ ჩვენ სამომავლოდ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში გააქტიურებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის წამებას და არაადამიანურ მოპყრობას. მის იზოლირებას ახდენს გარე სამყაროსგან, არც დეპუტატებს არც ევროპარლამენტარებს არ უშვებს, ამიტომ, ჩვენ, ბუნებრივია, გვექნება კონსულტაციები მასთან, რა ფორმით უნდა გავაგრძელოთ პოლიტიკური საქმიანობა ჩვენ ციხის გარეთ და მიხეილ სააკაშვილმა ციხეში“**, – აცხადებს ბეჟაშვილი.

ოპოზიციის დანარჩენი ნაწილი კი სააკაშვილის ისევ პოლიტიკაში შემობრუნებას გუშინდელ დღეს უწოდებს. მათი აზრით, მერაბიშვილი, კეზერაშვილი და ადეიშვილი სააკაშვილის სახელის 2024 წლის არჩევნებისთვის გამოყენებას ცდილობენ. შესაბამისად, ეს მისი ამომრჩევლის მობილიზებას კი მოახერხებს, მაგრამ ამის პარაევა, მაგრამ მისი განცხადება სერიოზულად არავინ მიიღო.

**„ფაქტი ისაა, რომ თავად „ნაციონალურ მოძრაობაში“ ბრძოლა გავლენებისთვის მიდის. სააკაშვილს ბუნებრივი მიზეზების გამო, ვერ ექნება ისეთი გავლენების ბერკეტები, როგორიც ადრე ჰქონდა. ეს უფრო ინერციული პროცესებია და სააკაშვილის სახელი, როგორც პოლიტიკური ბრენდის, თავად „ნაციონალურ მოძრაობას“ და დანარჩენ ოპოზიციასაც სჭირდება. თუმცა ამავე დროს, დავით კეზერაშვილს, მერაბიშვილთან და ადეიშვილთან ერთად, ენმ-ში პოზიციების გაძლიერება სურთ. ეს არის არა მხოლოდ ფულით, არამედ გავლენებით პოზიციების გამყარება.**

**ჩვენ ვნახეთ თუნდაც რეგიონალური ორგანიზაციების არჩევნებში მერაბიშვილმა ყოფილი შსს-ს თანამდებობის პირები როგორ ჩართო და ხელის გადაგრეხვის პოლიტიკით, მათთვის არასასურველი ხალხის მოშორება დაიწყო. ამიტომ სააკაშვილის ისევ ხელახლა თამაშში შემოყვანა მათ აწყობთ, თუმცა ისე, რომ მას პარტიაზე რაიმე გავლენა ნაკლებად ჰქონდეს. ისევ სახელისთვის, მისი ელექტორატის მობილიზებას დაიწყებენ, რათა 2024 წლისთვის აჩვენონ მის ამომრჩეველს, რომ სააკაშვილი მათ მხარეს არის. ესაა ჩვეულებრივი თამაში, რომელიც არჩევნების დროს ლევან ხაბეიშვილის სათავეში მოსაყვანად გამოიყენეს. სააკაშვილს სხვა რა გზა აქვს? რა სიტუაციაშიც ახლა ის იმყოფება, გამოსავალი არა აქვს“**, – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, პარლამენტში განვითარებული მოვლენებიც ცხადყოფს, რომ ენმ-ში ნეობოლშევიზმია და ფრაქციის წევრებსაც, რომლებმაც მათი აზრი არ გაიზიარეს, ისე ექცევიან, როგორც მტრებს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ კარგად ხვდებიან, რომ სერიოზული პოლიტიკურ ეროზიაში იმყოფებიან. ამიტომ ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობს.

**„ნიკა მელია და მისი თანამოაზრეები, დღე-დღეზე ახალ პარტიას შექმნიან. ამის პარალელურად, პარტიაში ვინ ვის ემორჩილება, ვინ რა ბრძანებებს გასცემს, თავადაც ვეღარ ერკვევიან. ხაზეიშვილი და მერაბიშვილი ამ პარტიის სათავეში თუ დარჩებიან, აქ მუდმივი დაპირისპირება და აჯაფსანდალი იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რეალურად დაღმასვლაშია გადასული. პარტიაში რამდენიმე პოლიტიკური ფეოდალი გაჩნდა. სააკაშვილის მონოლითურ პარტიაში, რამდენიმე მმართველი გამოიკვეთა. ამიტომ ბრძოლა ახლა იმაზე მიდის, პარტიაში ვინ რა გავლენებს დაიკავებს. სააკაშვილს პოლიტიკური ალღო მოერყა და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ საერთოდ ლოგიკას არის მოკლებული. ალბათ, რეალობას ვერ ხვდება, რადგან საპარლამენტო ტრიბუნა სტატუსია, რომ პოლიტიკოსს პოლიტიკის განხორციელების საშუალება ჰქონდეს. ხვდებოდნენ უცხოელ აქტორებს და პარტია პოლიტიკურ ცხოვრებაში იყოს ჩართული. ვინც, მეტნაკლებად, გამოცდილი პოლიტიკოსია, იცის რა პროცესები ვითარდება პარლამენტში, ბუნებრივია, „ნაციოანლურ მოძრაობა“ პარლამენტს არ დატოვებს. ისევ კოლექტიურ ფოტიგებთან, კუბილიუსებთან ურთიერთობას გააგრძელებენ, მით უმეტეს 2024 წლის არჩევნები კარზეა მომდგარი და საარჩევნო მარათონი უნდა დაიწყოს“**, – ამბობს აბაშიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

**წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია!**

# იყიდება, იყიდება საქართველო!

## ოქტომბრიდან მოყოლებული რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 543 მიწის ნაკვეთი და 4 745 ბინა იყიდეს

**2022 წლის 13 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდში რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 543 მიწის ნაკვეთი და 4 745 ბინა იყიდეს.**

**ინფორმაციას საჯარო რეესტრის სააგენტოს პასუხშია მოცემული, რომელიც უწყებამ პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვის პასუხად მოამზადა. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონული მონაცემებით, 2022 წლის 13 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 8872 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. წილის მესაკუთრის ან დამფუძნებლის სახით რუსეთის ფედერაციის 889 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 646 იურიდიულ პირში. ხელმძღვანელი-წარმომადგენლის ან მმართველი ორგანოს წევრის სახით, რუსეთის ფედერაციის 638 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 563 იურიდიულ პირში.**

**„უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის 13 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის:**

**3878 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 4745 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე.**

**543 მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა, დარეგისტრირდა 404 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 104.098 კვ.მ-ს;**

**ხოლო, 886 მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა, დარეგისტრირდა 829 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 118.213 კვ.მ-ს.**

**ამასთან, 2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა საკუთრებაში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის გარეშე მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 265.049 კვ.მ; ამავე პერიოდისთვის შენობა-ნაგებობებიანი მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 209.600 კვ.მ; ხოლო საცხოვრებელი ბინა/ერთეულების ჯამური ფართობი: 424449.823 კვ.მ“**, – აღნიშნულია საჯარო რეესტრის პასუხში.

## რას ვყიდით და ვყიდულობთ რუსეთში?

**2023 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ რუსეთთან 848 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 51%-ით მეტია. შესაბამისად, რუსეთი თურქეთის შემდეგ სავაჭრო პარტნიორთა შორის მეორე ადგილზეა.**

რუსეთიდან იმპორტი 54%-ით, 622 მილიონ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 45%-ით 226 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონელი, რომელიც რუსეთში გადის:

| | |
|---|---|
| **ღვინოები** | **– 52 მილიონი დოლარი;** |
| **ფეროშენადნობები** | **– 45 მილიონი დოლარი ;** |
| **მსუბუქი ავტომობილები** | **– 30 მილიონი დოლარი;** |
| **მინერალური და მტკნარი წყლები** | **– 22 მილიონი დოლარი;** |
| **გაზიანი და შაქრიანი სასმელები** | **– 17 მილიონი დოლარი.** |

უმსხვილესი საიმპორტო საქონელი, რომელიც რუსეთიდან შემოგვაქვს:

| | |
|---|---|
| **ნავთობპროდუქტები** | **– 212 მილიონი დოლარი;** |
| **ბუნებრივი აირი** | **– 80 მილიონი დოლარი;** |
| **ხორბლის ფქვილი** | **– 17 მილიონი დოლარი;** |
| **ბოთლები და მინის ტარა** | **– 15 მილიონი დოლარი;** |
| **ხორბალი** | **– 14 მილიონი დოლარი.** |



**ინტერვიუ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან (1995-2003 წ. წ.) ირაკლი მენაღარიშვილთან, რომელიც ამჟამად „ქართული ოცნების“ მთავრობას კონსულტაციებს უწევს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.**

## ირაკლი მენაღარიშვილი:

# ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, იაროს დასავლური გზით და არავის მისცემს უფლებას, ამ გზიდან გადაუხვიოს!

**– ბატონო ირაკლი**, **გვაქვს ამგვარი ურთულესი მოცემულობა: ერთის მხრივ, ვართ ნაომარი ქვეყნები, რუსეთს აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული, გაწყვეტილი გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები; მეორეს მხრივ – ვზრდით მასზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას, ანუ მტრულად განწყობილ სახელმწიფოს ჩვენვე ვუქმნით ზეწოლის დამატებით ბერკეტს. შეგიძლიათ, გვითხრათ, აქ პრაგმატიზმი რაში მდგომარეობს?**

– პრაგმატიზმი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ამით ჩვენი ქვეყნის პოტენციალის და ჩვენი საზოგადოების უნარის გაზრდა, გაუძლოს მეტ, ასე ვთქვათ, სტრესს და იყოს წარმატებული. ეს არის მთავარი მიზანი.

**– ანუ მშიერს გაუჩნდეს შემოსავალი, მაგრამ მეორეს მხრივ, ვსაუბრობთ მოკლევადიან ეფექტზე. თუ გავითვალისწინებთ რუსული ბაზრის ხასიათს (ეს საკუთარ თავზე არაერთგზის ვიწვნიეთ), ნებისმიერ მომენტში, როდესაც თავად ჩათვლის საჭიროდ, ეს წყარო შეუძლია, გადაკეტოს. ამასთან, ამ გაზრდილი დამოკიდებულების გამო ვრჩებით მდგომარეობაში, ჩვენს გამოც რომ დაუწესონ რუსეთს სანქციები, ვერ მივუერთდებით...**

– პერსპექტიული ზრდა არ შეიძლება იყოს გათვლილი სანქციებზე, დაპირისპირებაზე და ამგვარ კრიზისულ სიტუაციებზე. ჩვენი ამოცანაა, ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს პოტენციალი, მსოფლიოს ბაზრებზე გასვლა ისე, რომ ჩვენ თვითონ არ ვიყოთ დამოკიდებული – რუსეთს არ ჰქონდეს საშუალება, მართოს თავის ჭკუაზე ჩვენი ურთიერთობა. ამას რუსეთთან ურთიერთობებზე უარით კი ვერ მივაღწევთ, ეს ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი ურთიერთობების გაფართოებით შეიძლება მიიღწეს მსოფლიოს ყველა, ჩვენს ინტერესებში შემავალ ბაზრებთან და ეკონომიკურ სფეროებთან. ასე, რომ ჩვენი გამოსავალი რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების რუსეთისთვის უარის თქმა კი არ არის, ჩვენი გაძლიერებაა, რომლის შემდეგაც რუსეთს უბრალოდ ხელში აღარ ექნება ის საშუალება, რომლითაც დღესაც.... ცოტა ხნის წინ ხომ სრულიად დაუფიქრებლად უწესებდა სასჯელს საქართველოს ცალმხრივად. ჩვენი გაძლიერებისთვის ზრუნვა არის ჩენი ყველა პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგია და არა იგნორირება რაღაც საშუალებების.

**– მაპატიეთ, ცოტა გულუბრყვილოდ ხომ არ ჟღერს რუსული ფულით საქართველოს ეკონომიკის გაძლიერება? რატომღაც რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის იმგვარი გაძლიერებით, რომ შემდეგ მას ამ მიმართულებით ზეწოლის ბერკეტი აღარ ჰქონდეს...**

– არა. საქართველომ თავისი ეკონომიკა უნდა გააძლიეროს. აქ ფული, ასე ვთქვათ, ისეთი ფენომენია, რომელსაც სახელი არ აქვს და იგი არავის ეკუთვნის. მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ეკონომიკის ფუნქციონირება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ჩვენი ეკონომიკის ძალით, ჩვენი პროდუქციის ხარისხით, ჩვენი მოქალაქეების მაღალი კვალიფიკაციით. ამის შემდგომ არავის სურვილიც კი არ გაუჩნდება ჩვენთან ასეთი კონფლიქტების წარმოშობის. ხოლო თუ მოინდომებს, უბრალოდ არაფერი გამოუვა. ამგვარი სიტუაციის მიღწევაა ჩვენთვის ამოცანა და არა ვიღაცისთვის უარის თქმა ან ართქმა.

**– ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა...**

– არა, რატომ?

**– რეალურად ვზრდით დამოკიდებულებას რუსულ ბაზარზე, რომელიც ვიცით, რომ არასაიმედო, პოლიტიკურია და მას ნებისმიერ მომენტში შეეძლება ამ წვდომის შეზღუდვა, მოქალაქეების მძიმე მდგომარეობაში დატოვება. ჩვენ რომ პარალელურად ვახდენდეთ დივერსიფიკაციას და რუსულ ბაზარს ვანაცვლებდეთ დასავლურით, რომელიც გაცილებით საიმედოა, ლოგიკა იქნებოდა, მაგრამ ვხედავთ, რომ დასავლური ბაზრების მიმართულებით პროცესი ძალიან ნელა მიდის წინ, რუსეთის მიმართულებით კი მყისიერად ვითარდება...**

– საქმე ის არის, რომ დასავლეთი გარკვეული თვალსაზრისით, რთული პარტნიორია: მასთან ურთიერთობა მოითხოვს შრომის, პროდუქციის ხარისხს და ჩვენი განვითარების მაღალ დონეს. ამიტომ, დასავლეთთან აქტიური თანამშრომლობა ითხოვს ჩვენგან შრომის ძალიან მაღალ ხარისხს. რუსეთთან ამგვარი მოთხოვნები არ არის და ამიტომაცაა, რომ იქ მხოლოდ მოკლევადიანი ამოცანები შეიძლება, დაისახო ექსპორტის გაზრდის **(თვალსაზრისით – რედ.)** და ა.შ. ეს ყველაფერი კარგად უნდა იყოს ცნობილი საქართველოს ხელისუფლებისთვის, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძალებისთვის და ჩვენი ძალისხმევა უნდა იყოს (ახალს არაფერს ვამბობ) მიმართული იქითკენ, რომ ქვეყანა იდგეს ფეხზე ისე, რომ მასზე ზეგავლენას ვერავინ ახდენდეს. თუკი მოინდომებს (რუსეთი – **რედ**.) საკუთარი ბაზრის ჩაკეტვას, ამ ბაზარზე მიმართული პროდუქციის გადანაწილება ძალიან მარტივად უნდა ხდებოდეს სხვაგან. ამიტომაცაა ჩვენი ბაზრის დივერსიფიკაცია ამოცანა. ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენ, რომ დასავლეთის ბაზარი უკეთესია ჩვენთვის, რომელიც უფრო სანდოა და უფრო მყარი. ეს უნდა იყოს ამოცანა. კი ბატონო, შეგვიძლია, თავი შევიკავოთ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობებისგან, უბრალოდ, აქედან ბევრი არაფერი გამოვა.

**ქვეყანას კურსი აქვს არჩეული და ამ პოლიტიკურმა კლასმა უნდა იმუშაოს იმაზე, რომ ეს სტრატეგია და მიმართულება იყოს მყარი. დასავლეთისკენ სწრაფვის გაძლიერებას ჩვენ რუსეთის უარყოფით ხომ ვერ მივაღწევთ?! ეს დამოუკიდებელი სტრატეგიაა, რომელსაც თავისი ტაქტიკური ნაბიჯები, ღონისძიებები, ძალისხმევა სჭირდება და აქ მთელი საზოგადოება უნდა იყოს დარაზმული!**

**– ჩვენ ხომ მთლიან სურათს განვიხილავთ და არა ცალკეულ სექტორში ურთიერთობებს, მით უფრო, რომ როგორც საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თითოეული სეგმენტი რუსეთისთვის მხოლოდ იარაღია. მახსოვს, როდესაც მაგალითად, ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებაზე ვსაუბრობდით, საქართველოსთვის ორი სანქციის მოხსნის შემდეგ, თქვენ დაინახეთ რუსეთის მიზანი, რომ ეს არ იყო ჰუმანური ჟესტი, რომ ეს იყო ილუზიის შექმნის მცდელობა, თითქოს მეზობელ ქვეყანასთან მიმართებით, რომელთანაც არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა, დგამს პოზიტიურ ნაბიჯებს. პარალელურად, ქვეყანაში, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით, უპრეცედენტო ანტიდასავლური კამპანიაა გაჩაღებული და რჩება განცდა, რომ ვდისტანცირდებით დასავლეთისგან, რომელიც, თუ ვსაუბრობთ რუსეთის შეკავებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ჩვენი მთავარი მხარდამჭერი უნდა იყოს. თქვენ ამ პროცესს როგორ აფასებთ?**

– ანტიდასავლური განწყობების დინამიკა და ეს თემა სხვადასხვაა. მისი მართვა რუსეთთან ურთიერთობით, ცოტა გაუგებარია. ქვეყანას კურსი აქვს არჩეული და ამ პოლიტიკურმა კლასმა უნდა იმუშაოს იმაზე, რომ ეს სტრატეგია და მიმართულება იყოს მყარი. დასავლეთისკენ სწრაფვის გაძლიერებას ჩვენ რუსეთის უარყოფით ხომ ვერ მივაღწევთ?! ეს დამოუკიდებელი სტრატეგიაა, რომელსაც თავისი ტაქტიკური ნაბიჯები, ღონისძიებები, ძალისხმევა სჭირდება და აქ მთელი საზოგადოება უნდა იყოს დარაზმული!

**– ბრძანეთ, „მიზანს რუსეთის უარყოფით ვერ მივაღწევთო“, მაგრამ ვერც საზოგადოების დეზორიენტირებით მივაღწევთ, რაზეც პროპაგანდა მუშაობს, მათ შორის, მმართველი გუნდის ჩართულობით...**

– ვინც ამგვარ საქციელს სჩადის, ის უნდა ვაკრიტიკოთ და არა ჩვენი ურთიერთობა რომელიმე ქვეყანასთან.

**– მაგრამ ამგვარი მოცემულობა გვაქვს: ანტიდასავლურ კამპანიას აწარმოებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადოებას სთავაზობენ ცრუ დილემებს. სხვათა შორის, ესეც წარმოშობს პროდასავლურად განწყობილი ადამიანების უნდობლობას რიგი გადაწყვეტილებებისადმი...**

– ეს ჩვენი შიდა პოლიტიკური პრობლემაა. ყველა ეს თემა არის ჩვენი ქვეყნის შიდა ურთიერთობის, ჩვენი საზოგადოების სიმწიფის, ჩვენი პოლიტიკური კლასის უნარის პრობლემა, მართოს პროცესები ქვეყანაში. აქ სხვისი დადანაშაულება რა შუაშია. საკუთარ თავს თავად უნდა მოვუაროთ.

**– სწორედ ჩვენს პრობლემებზე ვსაუბრობ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ოკუპანტ ქვეყანასთან ვაღრმავებთ ურთიერთობებს, სტრატეგიული პარტნიორებისგან ვდისტანცირდებით და რეგიონში ვრჩებით მარტოდ, გაუგებარია, ვის და რის იმედად...**



– აპოკალიპტურ სურათს ხატავთ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

**– თქვენი ოპტიმიზმის საფუძველიც გაგვიზიარეთ...**

– ქვეყანაში სიტუაცია ასე არ არის. ღმერთმა ნუ ქნას და რეალურად ასე რომ იყოს, ჩვენი საქმე წასული იქნება!

**– და თქვენ როგორ ხედავთ?**

– ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, იაროს დასავლური გზით და გარწმუნებთ, იგი არავის მისცემს უფლებას, ამ გზიდან გადაუხვიოს. თუმცა, შეიძლება, უამრავი, ასე ვთქვათ, ინციდენტი იყოს, ვიღაცამ შეიძლება, სისულელეც თქვას, არც ესაა გამორიცხული, მაგრამ საბოლოოდ, ქვეყნის განვითარების ღერძულ ვექტორს განსაზღვრავს მთელი საზოგადოება – ჩვენი ხალხი და არა ცალკეული პიროვნებები. ეს ჩემთვის სრულიად საკმარისი თეზისია მყარი ოპტიმიზმისა.

**– აქვე აფხაზეთის რკინიგზაზეც მინდა, ვიკითხო. ვიცით, რომ ამ მონაკვეთის აღდგენაზე პერიოდულად იყო საუბრები და ახლა კვლავ გააქტიურდა...**

– პროვოკაციის ინსტრუმენტია რუსეთის ხელში. ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტის კონტექსტში უნდა მოგვარდეს ეს საკითხიც. ამის გარეშე, ვიდრე ეს საკითხი არ მოგვარდება, ამ თემაზე საუბარი პროვოკაციაა. ეს არის ფორმულა. ამის იქით ყველაფერი სრულიად მიუღებელია! ეს საქართველომ დიდი ხნის წინ თქვა. კარგად მახსოვს, ამის თაობაზე კამათიც გვქონდა რუსეთიდან რამდენიმე ჟურნალისტთან. საქართველოს ძალიან მკაფიო პოზიცია აქვს და ის ასე მარტივად არ უნდა შეიცვალოს.

**– ინტერპრეტაციის საშუალება რჩება. ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ უნდა გაიხსნას ეს მიმართულება?**

– ჯერ ერთი უნდა მოხდეს და შემდეგ მეორე, ასე არავინ ამბობს. ჩვენ ვამბობთ, რომ თუკი დაიწყება ძალიან სანდო, სერიოზული პროცესი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის (ადრე იქნება თუ გვიან, ამას

უკვე კონკრეტული სიტუაცია განსაზღვრავს), რა თქმა უნდა, ეს რკინიგზაც უნდა აღდგეს, რადგან საქართველომ, უარი არ უნდა თქვას თავისი ურთიერთობის არც ერთ საშუალებაზე არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან.

**– თქვენ საკვანძო სიტყვა ახსენეთ, „სანდო“...**

– დიახ. იქ პროცესი უნდა წავიდეს, რომ წამყვანი ტენდენცია იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**– უნდა ვახსენოთ ნარატივი, რომელიც ბოლო პერიოდში მუშავდება, თითქოს, საავიზო რეჟიმის მოხსნისა და ფრენების აღდგენის შემდეგ რუსეთი აფხაზეთს და ცხინვალს დააბრუნებს...**

– ამას ვინ ამბობს?

**– როგორ მუშაობს პროპაგანდა? მუშავდება კონკრეტული გზავნილები, შემდეგ ეს ვრცელდება სხვადასხვა გზებით, მათ შორის სოციალურ ქსელებით, აჟღერებს ჯერ რომელიმე არა წამყვანი თანამდებობის პირი ... და მიმდინარეობს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მცდელობები... მაინტერესებს თქვენი აზრი, ეს საზოგადოებისთვის ილუზიის შექმნის მცდელობაა თუ არსებობს რაიმე წინაპირობა, რომ რუსეთი შეცვლის თავის გადაწყვეტილებებს ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში?**

– რუსეთი რას იზამს ხვალ, ამაზე მკითხაობა ჩემი საქმე არაა. ეს არის ამოცანა, რომელზეც უნდა იმუშაოს საქართველომ მუდმივად, რომ აიძულოს რუსეთი, ისევე როგორც ყველა სხვა ძალა, რომელსაც ამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია, მაგრამ უპირველესად, რუსეთი (რადგან ის ოკუპანტია, მან უნდა გაიყვანოს ჯარი), რომ დღის წესრიგში დადგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამას საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი დიალოგი აფხაზურ და ოსურ თემთან და ამ ყველაფრის კონტექსტში უნდა გადაწყდეს უამრავი საკითხი, მათ შორის რკინიგზისაც და ა.შ.

**– და ზოგადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის?**

– რა თქმა უნდა. იცით, ცალკეული თემის პერსპექტიულობის განსჯა სრულიად უმადური თემაა. ყველაფერი ისე მჭიდროდ არის გადაბმული ერთმანეთთან, რომ რომელიმე საკითხის გამოცალკევება არასწორი მიდგომაა.

**– ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ როგორც იცით, პერიოდულად ჟღერს ნეიტრალიტეტის თემა...**

– ნუ უსმენთ ამგვარი ილუზიების შექმნის მცდელობას. ეს ვიღაცას რაღაც ეჩვენება და თავისი მცდარი აზრების საზოგადოებისთვის თავზე მოხვევას ცდილობს. არაერთგზის მითქვამს, რომ ნეიტრალიტეტი სადღეისოდ საქართველოსთვის მიუღებელია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელი უნდა ავიღოთ იმ მიმართულებით ინტეგრაციაზე, რომელიც ჩვენი სტრატეგიული არჩევანი გახლავთ – ანუ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ვინც მსგავსი გადაწყვეტილებისკენ მოგვიწოდებს, არ მინდა, ვთქვა, რომ ყველა მათგანი ბოროტია და ბოროტი მოსაზრებებით აკეთებს ამას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც გულზე არ ეხატებათ ჩვენი დასავლური მიმართულება. მათ ყური არ უნდა დავუგდოთ და უნდა შევეშვათ მათი მოწოდებების კომენტირებას.

**– უნდა ვთქვათ ისიც, თუ რატომ არის მიუღებელი. აქ ხომ მხოლოდ დასავლურ ინტეგრაციაზე არაა საუბარი. მნიშვნელოვანია, როგორ მოხდება ქვეყნის უსაფრთხოების გრძელვადიანი უზრუნველყოფა მაშინაც კი, როდესაც აღდგება ტერიტორიული მთლიანობა. ვინ გვაზღვევს, რომ რუსეთი კვლავინდებურად არ „აფათურებს ხელებს“...**

– ამისთვის კონკრეტული ამოცანა გვაქვს დასახული და დაწერილიც არის დიდი ოქროსფერი ასოებით – საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ეწოდება ამ სტრატეგიას. ეს სტრატეგია დეტალურადაა დამუშავებული და საქართველო ამ მიმართულებით მუშაობს და ეს ბოლომდეა მისაყვანი. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ რაღაც არ კეთდება ქვეყანაში, ამისთვის არის ბრძოლა საჭირო და არ ვიცი, ქარის წისქვილებთან ბრძოლაში რატომ უნდა ვკარგოთ დრო?! მე თუ მკითხავთ, ქვეყნის პოლიტიკურ აზროვნებაში ყველა ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ის, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია შეიძლება მხოლოდ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე იქნეს მოპოვებული, ჯერ კიდევ 2000 წელს გაცხადდა ოფიციალურად. ამის შემდეგ ჩვენ ამ თემაზე კამათს თავი უნდა დავანებოთ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ვინც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, უნდა ვკითხოთ, რით ასაბუთებს ამას და დავინახავთ, რომ მას უსუსური მოსაზრებები აქვს, ხელს ჩავიქნევთ და ჩვენს გზას მშვიდად გავაგრძელებთ. თქვენ მკითხეთ, რა არის ჩემი ოპტიმიზმის საფუძველი. ეს საფუძველია მთელი 30 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელია, მუდმივი ფიქრი იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყნის ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება და როდესაც ასეთი გზა გამოიკვეთებოდა, მისი გადაქცევა ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებად. ჯერჯერობით ასე მიდის საქმე.

**– მახსენდება პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომელიც მან ნატოს კონტექსტში გააკეთა უკრაინაში რუსეთის მიერ ომის გაჩაღების შემდეგ, რომ არ ვართ გულუბრყვილოები და გვესმის, რომ ალიანსში საქართველოს გაწევრიანება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე არ მოხდებაო. ამან გააჩინა განცდა, რომ...**

– ტყუილია! ასეთი მოცემულობა უბრალოდ არ არსებობს! თავად ნატოს გენერალურ მდივანსაც კი რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ საქართველოს საკითხი უნდა გადაწყდეს იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ჯერ არ არის აღდგენილი.

**„აქცენტი“**

**ნეიტრალიტეტი სადღეისოდ საქართველოსთვის მიუღებელია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელი უნდა ავიღოთ იმ მიმართულებით ინტეგრაციაზე, რომელიც ჩვენი სტრატეგიული არჩევანი გახლავთ – ანუ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ვინც მსგავსი გადაწყვეტილებისკენ მოგვიწოდებს, არ მინდა, ვთქვა, რომ ყველა მათგანი ბოროტია და ბოროტი მოსაზრებებით აკეთებს ამას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც გულზე არ ეხატებათ ჩვენი დასავლური მიმართულება.**





## ნაცებმა სრულიად უსამუსო და უსინდისო განცხადებები გააკეთეს!

# არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში!

**საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გაწერილი 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების ერთ-ერთი პუნქტი ეხება სასამართლო რეფორმას, გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილებას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას. საბჭოს წევრთა ასარჩევად საჭიროა 90 პარლამენტის წევრის ხმა. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის დათქმის შესაბამისად, მათი არჩევის უზრუნველყოფა როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობაა.**

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა დაადგინა 12 პუნქტი, როგორც პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად და მმართველ გუნდს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს მისი სათანადო დროში და სათანადო ხარისხით შესრულება, ოპოზიცია ცდილობს ჩაშალოს დათქმული პუნქტების შესრულება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

მცდელობის მიუხედავად, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად ოთხ კანდიდატს ხელახლა ეყარა კენჭი.

მეორე ტურში კენჭი უყარეს **რუსუდან კვინიკაძის, გოგა კიკალაშვილის, ლევან ნემსაძისა** და **ნინო ნიშნიანიძის** კანდიდატურებს, რომლებმაც წინა კენჭისყრის დროს სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს. ვერც ერთმა კანდიდატმა ასარჩევად საჭირო 90 ხმა ვერ მიიღო, რის გამოც მესამე ტური გაიმართება. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრების დაწყებამდე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** უმრავლესობის დეპუტატებს მიმართა, იუსტიციის საბჭოს წევრობის კანდიდატებთან დაკავშირებით ფორმალური კენჭისყრა ჩატარებულიყო და ოთხ კანდიდატზე კონსულტაციები გამართულიყო. როგორც კობახიძემ აღნიშნა, პრინციპი მარტივია – **„არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში“.**

**„ბულინგზე ითქვა – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირდაპირ ხმები გამოდიოდა კონკრეტული ოთახებიდან და არ იყო მაინცდამაინც სასიამოვნო ის ხმები! როდესაც საუბარია 3/2-ზე, 4/1-ზე და ა.შ. ერთი პრინციპია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. ადრე შეიძლება ამას კომპრომისებით ვეკიდებოდით, მაგალითად, როდესაც ნინო ლომჯარია ავირჩიეთ. ჩვენი პრინციპი მარტივია – არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში. ეს არის ჩვენი მარტივი პრინციპი და ამ პრინციპით ვიმოქმედებთ მომავალშიც“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ასარჩევად, სულ მცირე, 90 ხმა იყო საჭირო. შესაბამისად, საბჭოს წევრების ასარჩევად საჭირო იყო როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის ხმები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევას ოპოზიციიდან **როსტომ** და **ნატო ჩხეიძეებმა, ნიკა მაჭუტაძემ, ბაჩუკი ქარდავამ** და **დილარ ხაბულიანმა** დაუჭირეს მხარი. რატომ წავიდნენ კოლეგების წინააღმდეგ ფრაქციის ახლა უკვე ყოფილი წევრები, ნაწილმა ეს ნაბიჯი მათთან კომუნიკაციის დეფიციტით, ნაწილმა კი 12 რეკომენდაციის შესრულების სურვილით ახსნა.

იმ 5 ოპოზიციონერ დეპუტატთან, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ იუსტიციის საბჭოს წევრების არჩევაში დაეხმარნენ, ყველანაირი ტიპის პოლიტიკურ თანამშრომლობას წყვეტს „ნაციონალური მოძრაობა“. ოპოზიციამ უკვე ყოფილ წევრებს ღალატში დასდო ბრალი და კარისკენ მიუთითა. „ნაცმოძრაობის“ ფრაქციის ყოფილი წევრი **ნატო ჩხეიძე** გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ჩათში ჩაგდებული იყო ხუთი კანდიდატის გვარი, რომლისთვისაც მხარი უნდა დაეჭირათ, თუმცა ფრაქციის წევრები მხოლოდ ოთხზე საუბრობენ.

**„ნაციონალური მოძრაობის“ ბრიფინგის დროს მეტი გულწრფელობის, დამაჯერებლობის თუ რაღაც მეტის გულისთვის თქვეს, რომ ჩათში ჩაგდებულ მესიჯში იყო ოთხი გვარი: სალია, საჯაია, წიქარიშვილი, მუხაშავრია, ეს ოთხი ჩამოთვალეს. მათ გამორჩათ, დაავიწყდათ ან დაივიწყეს, რომ იმ ჩათში იყო მეხუთე გვარი ნიშნიანიძე, მაგრამ ეს არ დაივიწყა „ქართულმა ოცნებამ“. საერთოდ, არ არის დიდი პირობის შემსრულებელი „ქართული ოცნება“ და ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მოინდომეს.**

**დაინტერესებული პირები ნახავთ, რომ კანდიდატთა სიაში, რომლებიც მეორე ტურში უნდა გადავიდნენ, ერთ-ერთი არის ნიშნიანიძე. როგორც ჩანს, სწორედაც მოქმედებდა ის ფორმულა 4/1-ზე, რომელიც მთლად ბოლომდე და ნათლად ოპოზიციური ჯგუფებისთვისაც არ იყო დამაჯერებელი, მთლად გაგებული და ამიტომ იყო, რომ სწორედ ოპოზიციურ ჯგუფებში იყო ის ფრაზა, რომ აქ იყო გარიგება და ეს გარიგება, საბოლოო ჯამში, დაგვბრალდა ჩვენ“,** – განაცხადა **ნატო ჩხეიძემ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, **თინა ბოკუჩავა** აცხადებს, რომ იუსტიციის საბჭოს წევრების მხარდამჭერი ოპოზიციონერი დეპუტატების საქციელს გამართლება არ აქვს. ბოკუჩავა ამბობს, რომ არ სწამს პოლიტიკაში შემთხვევითობის.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პირდაპირ, ყველა კომპონენტში ეწინააღმდეგება 12 რეკომენდაციის შესრულებას. რაც არის მათი მთავარი ამოცანა და თუ მოხდა ისე, რომ რომელიღაცა დეპუტატი ოპოზიციიდან რომელიმე გადაწყვეტილებას, რომელიც 12 რეკომენდაციის შესრულებას ემსახურება, მხარს დაუჭერს, მასზე ხორციელდება არნახული ზეწოლა და ბულინგი.

**ვიცე-სპიკერ გია ვოლსკის შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესში არ არის ევრორეკომენდაციების შესრულება. ვოლსკის თქმით, მათი ინტერესია, არ იქნეს არჩეული კანდიდატები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.**

იხ. 8 გვ.




# ახალგაზრდა მეცნიერთა წარმოჩენა

**2023 წლის მარტში საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, ფრანგული ინსტიტუტის, „პარიზ-საკლეს" უნივერსიტეტის, ირენ ჟოლიო-კიურის სახელობის ფიზიკის ლაბორატორიის (IJCLAB), ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრისა (CERN) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადდა კონკურსი ფიზიკაში ქართველი სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.**

კონკურსში მონაწილეობა მიიღო და თეზისები წარმოადგინა 45-მა ახალგაზრდამ. დასკვნით ტურში, რომელიც 2 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა, მოწვეული იყო 15 მონაწილე, რომელთაც საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მაღალი ენერგიის ფიზიკისა და ამაჩქარებლების მიმართულებების შესახებ. კონკურსის ბოლო ტურის 15-ივე მონაწილე საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა.

კონკურსის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა CERN-ის სამეცნიერო საბჭოს წევრი, პროფესორი **მარი-ელენ შუნი,** ირენ ჟოლიო-კიურის სახელობის ფიზიკის ლაბორატორიის მკვლევრები, პროფესორები: **ლუკა კადამურო, სერგეი ბარსუკი** და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ალექსანდრე კვინიხიძე,** კონკურსში გამარჯვებულად სცნო სამი მონაწილე: ქართულ-ბრიტანული აკადემიის მოსწავლე **საბა კუტიბაშვილი,** „Buckswood"-ის საერთაშორისო სკოლის მოსწავლე მარიამ გოგნიაშვილი და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტი **თამარ მამადაშვილი.**





სამივე გამარჯვებულს მთავარი პრიზის სახით ერგო ფრანგული მხარის მიერ სრულად დაფინანსებული, ერთკვირიანი მოგზაურობა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები ეწვევიან „პარიზ-საკლეს" უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიებს და ჟენევაში განლაგებულ CERN-ის უნიკალურ კვლევით ცენტრს.

**ნათია ვადაჭკორია,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.**

# შუბზე აგებული საუკუნეების მაცნე

## რა ვიცით ჭაქვინჯის ციხეზე, რომელიც „ევროპა ნოსტრას" შვიდეულში გავიდა?!

**13 აპრილს „ევროპა ნოსტრამ" 7 განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლი დაასახელა, მათ შორის ერთი საქართველოშია – მეორე-მესამე საუკუნეების ჯაქვინჯის ციხე. ჯაქვინჯის ციხე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში მდებარეობს. ჯიხაშკარი სწორედ ციხის კარს ნიშნავს, ჯაქვინჯი – ჯანების ძირს, ფუძეს.**

**ქვედა და ზედა ციხეებიდან ახლა მხოლოდ ზედა ციხეა შემორჩენილი, ქვედა – საბჭოთა ეპოქაში საგზაო სამუშაოებმა შეიწირა.**

**ციხე საკმაოდ დიდია. 5 ათას კვადრატულ მეტრამდე. გალავნის სიმაღლე ექვს მეტრს აღწევს, კოშკების – ათს. ციხეში შემორჩენილია ეკლესიის ნიში, გადმოცემით, წმინდა გიორგის სახელობის. თავად ტაძარი აღარ დგას. ყოფილა საიდუმლო გვირაბიც. ციხის შესასვლელი ჩრდილოეთითაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოტევას ამ მხრიდან ელოდნენ. წარსულში ადგილობრივებს ხშირად თავს ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომები ესხმოდნენ. ციხე ინგრევა, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ კულტურის საერთაშორისო ცენტრმა ის „ევროპა ნოსტრას" პროგრამაზე წარადგინა. ამ პროგრამაში ჩართვისთვის ორი ძირითადი მოთხოვნაა: კულტურული ძეგლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს და გადაუდებელი დახმარება სჭირდებოდეს.**

„ევროპა ნოსტრა" არის ევროპაში დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც კულტურულ ძეგლებს მფარველობს.

„ევროპა ნოსტრას" კონკურსის შვიდეულში გასვლა ნიშნავს, რომ საქართველოში სპეციალისტები ჩამოვლენ, ძეგლს შეისწავლიან და მისი განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციებს შეიმუშავებენ. პროგრამა ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად ტარდება.

**„2018 წელს დავითგარეჯი გავიდა შვიდეულში. ჩამოვიდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საკმაოდ საინტერესო რეკომენდაციები დადო",** – ამბობს მაკა დვალიშვილი, „ევროპა ნოსტრას" წარმომადგენელი საქართველოში.

მართალია, შვიდეულში არ გადასულან, მაგრამ „განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 12 ძეგლის" ნომინანტი გახდა ნარიყალას ციხე 2021 წელს და ჭიათურის საბაგირო – 2018 წელს.

მაკა დვალიშვილი ამბობს, რომ უშუალოდ ძეგლის აღდგენას „ევროპა ნოსტრა" არ აფინანსებს, მაგრამ ამ კონკურსში გამარჯვებამ მეტ შესაძლებლობა მისცა ძეგლს, მისი აღდგენით დაინტერესებულმა მხარემ დონორები მოიძიოს.

**„ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ჩვენ უზრუნველვყოფთ ტექნიკურ ექსპერტიზას, გამოვავლენთ დაფინანსების შესაძლო წყაროებს. გამოვიყენებთ ჩვენს ფართო ქსელს მათი საქმისა და ძალისხმევის მხარდასაჭერად, რაც ახლა ასევე გახდა ჩვენი საქმე და ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა",** – თქვა „ევროპა ნოსტრას" აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა გაი კლაუსმა ონლაინღონისძიებაზე, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა.

### ჭაქვინჯის ციხე – კოლხური ტომებიდან კირის კარიერამდე

**ჯაქვინჯის ციხეს, ისევე, როგორც იმ ადგილს, სადაც ის დგას, გრძელი ისტორია აქვს. პროექტის ავტორი, ისტორიკოსი ლაშა ჯიქია ამბობს, რომ 2017-2019 წლებში ეს ტერიტორია არქეოლოგებმა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ იქ ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე მერვე-მეშვიდე საუკუნეებში კოლხური ტომები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, ელინისტურ პერიოდში აქ აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოება გადიოდა. ადგილი მნიშვნელოვანი იყო, როგორც ეკონომიკური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით. ამის გამო ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში აქ მცირე ზომის ციხესიმაგრე აშენდა.**

**„შემდეგ უკვე ლაზიკის სამეფოს, გუბაზ მეფის პერიოდში, როცა სანაპიროები ჯერ რომაელებმა, შემდეგ კი ბიზანტიელებმა დაიპყრეს, ციხეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მაშინ მათ რეზიდენციის ფუნქციაც ჰქონდათ. ეს ტენდენცია შუა საუკუნეებში და მის შემდეგაც გაგრძელდა. სამეგრელოს ბოლო მთავარი დავით დადიანი სწორედ ჭაქვინჯშია დაბადებული. იქ მათ საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდათ, ორსართულიანი პალატი,** – ყვება **ლაშა ჯიქია, –** საქართველოს გაერთიანებისას, ბაგრატ მეფის პერიოდში ციხე გააფართოეს. ის სახე, რომელიც დღეს აქვს, ციხემ გვიან შუა საუკუნეებში მიიღო. მთელი ამ დროის განმავლობაში ციხე ფუნქციური იყო. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ აქ საგანძურს ინახავდნენ, რომელზეც ბევრს ეჭირა თვალი. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რომელი ბრძოლები უკავშირდება ჭაქვინჯის ციხეს".



**ერთი ბრძოლა მაინც ცნობილია, 1905 წლის გლეხთა აჯანყება, რომელიც სამეგრელოსაც შეეხო. ისტორიკოსი ამბობს, რომ მაშინ აჯანყებულებმა ჭაქვინჯს შეაფარეს თავი. რუსმა გენერალმა ადელხანოვმა მათ ზარბაზნებიდან გაუხსნა ცეცხლი. დაზიანდა კოშკურა, გალავნის კედლები ჩამოინგრა.** უკვე სამოციან წლებში, ციხის ძირში კომუნისტებმა კირის მოპოვება დაიწყეს, რის გამოც კლდე დღემდე იშლება.

**„ბაქანი, რომელზეც ციხე დგას, აქტიური გეოლოგიური რისკის ქვეშაა. კლდის რღვევის გამო რამდენჯერმე უზარმაზარი ლოდები დაგორდა. ციხის ნაშალი საკარმიდამო ნაკვეთებში ჩამოვიდა, გზა ჩახერგა", – ამბობს ლაშა ჯიქია.** ციხის გადასარჩენად ჯერ მისი კონსერვაციაა საჭირო, შემდეგ კი დონორების მოძიება, ბოლოს – აღდგენა. ციხე სამი მუნიციპალიტეტის: ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის გასაყარზე მდებარეობს და მისი გადარჩენა სამივე რაიონს მისცემს ტურისტების მოზიდვის საშუალებას.

**თეა თოფურია,**

**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.**



# აწონილი სიტყვით ნაზიდი მძიმე ჯვარი

**დიდ მეოცესაუკუნელს – რევაზ ჯაფარიძეს ხვალ 100 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, როგორც გვჩვევია, ბასრი კალმით გამორჩეული პუბლიცისტი და საფიცარი სამშობლოს ისტორიული ფოლიანტების დაუშრეტელი ენერგიით მაძიებელი მწერალი არავის გახსენებია. ვიმედოვნებთ – ჯერჯერობით, ამიტომ როგორც მისი ნაამაგარი უმცროსი ახლობელი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, შეძლებისდაგვარად შევაწიო ორიოდე, მადლიერების გრძნობით ნაკარნახევი სიტყვა.**

უპირველესად, გასათვალისწინებელია ის პერიოდი, როცა მზარდი მოაზროვნის სულიერი სამყაროს ფორმირება ხდებოდა. დიახ, მხედველობაში მაქვს დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი წლები, მრავალი თანატოლის მსგავსად, სრულიად ახალგაზრდამ რომ მოირგო ჯარისკაცის ფარაჯა და, როგორც მომავალში დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ, საბრძოლო ნათლობა მიიღო. გაჭიანურებული სასკლაოს თაობაზე თვითონ იშვიათად საუბრობდა, მაგრამ სათქმელი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გადმოგვცა სხვადასხვა ჟანრის ქმნილებებში. ვფიქრობ, მხოლოდ ფურცლებზე პიესად აკინძული უკვდავი ნაწარმოების – „ჯარისკაცის ქვრივისა“ და მის პერსონაჟთა დასახელებაც საკმარისია ავტორის ეპოქისეულ სიღრმეებში ჩასაწვდომად.

აღარაფერს ვამბობთ ჩვენი მარადიული თანამედროვის მიერ თაობათათვის სამკვიდროს ავ-კარგიანი წარსულის უტყუარად შესაფასებლად დატოვებულ ეპიკურ რომანანდერძ „მძიმე ჯვარზე“, რომელიც თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან ეხმიანება დღევანდელი ქართული სახელმწიფოს ჭირ-ვარამს. შესავალში პუბლიცისტიკა ვახსენე და როგორ არ გავუსვა ხაზი ჭეშმარიტი მამულიშვილის მიერ გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილებს, პირუთვნელად რომ ასახავს საქვეყნო საქმისათვის ხელისშემშლელ მანკიერებათა მთელ თაიგულს, თუმცა მათ ფონზეც კი სამაგალითოდ გამოიყურება მღელვარე 1978 წლის 14 აპრილს დედა ენის გადასარჩენად აზვირთებული სტუდენტებისა და მათი დამმოძღვრავი ძველგაზრდობისათვის „შპარგალკად“ შეშველებული უკომპრომისო პოზიცია.

**რევაზ ჯაფარიძის „აწონილი სიტყვით“ დაქუხებული სიმართლე დღესაც აქტუალურია თანამემამულეთათვის, ამიტომ კეთილი ვინებოთ და ვიხელმძღვანელოთ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობით!**

**გია პლატონიშვილი**

# სამცხე-ჯავახეთში დახვეწილი, გამორჩეული, გემოვნებიანი მაყურებელი ცხოვრობს!

# ეროვნული სულისკვეთების ფესტივალი!




**ახალციხეში ეროვნული დრამატურგიის ტრადიციული VII საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ქართული დრამატურგიის განვითარებას და ახალი საინტერესო პიესები გამოავლინოს. ამით სტიმული მისცეს დრამატურგებსა და თეატრებს საინტერესო სპექტაკლები განახორციელონ და გამოცდილ მსახიობებთან ერთად ახალგაზრდა ხელოვანთ თავის წარმოჩენის საშუალება მისცენ.**

საქართველოში არსებობს აგრეთვე ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მიზანია დიდი მწერლის ნაწარმოებების გარდა ქართული პროზის ნიმუშების სცენაზე განხორციელება. ორივე ფესტივალი ერთმანეთს ავსებს და ეროვნული იდეოლოგიის განვითარებასა და ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება.

**ეს ფესტივალი შემთხვევით არ დაარსებულა. 1967 წლიდან, მესხეთის თეატრის განახლების დღიდან, ამ მხარეში ეროვნული სულიერების აღორძინება დაიწყო, თუმცა დასს არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. თეატრისთვის ყოველთვის წინა პლანზე იდგა ქართული დრამატურგია, რომელიც მის შემოქმედებით სახეს განსაზღვრავდა. ფესტივალი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ფესტივალი 2006 წელს რეჟისორთა გილდიის ახალგზარდა რეჟისორებმა ავთო ვარსიმაშვილმა (თავისუფალი თეატრის დამაარსებელმა), გოგი მარგველაშვილმა, გიორგი შალუტაშვილმა და მესხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლია სულუაშვილმა დააარსეს.**

აღსანიშნავია, რომ თეატრი, სხვა ფესტივალებთან შედარებით, საკმაოდ მწირი ფინანსური შესაძლებლობებით ახერხებს დაუვიწყარი ღონისძიების ჩატარებას. მისი წლევანდელი ბიუჯეტი 40-45 ათასი ლარია (რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტმა გაიღო) და მასში 21 კოლექტივი მონაწილეობს. აქედან ორი სტუმრის სტატუსითაა მოწვეული: ტრაბზონის სახელმწიფო თეატრი (თურქეთი) და კიშინიოვის იონ ლუკა კარაგალის ეროვნული სატირული თეატრი (მოლდოვა). წინა ფესტივალში 15 დასი მონაწილეობდა.

თუკი წინა წლებში მესხეთის თეატრის დაფინანსება 369 ათას ლარს შეადგენდა, ამჟამად იგი 500 ათასი ლარია. საშუალო ხელფასი თუ 400 ლარი იყო, დღეისთვის 600-900 ლარს შეადგენს. 10 მსახიობს კი ხელფასი 1000 ლარი აქვს. ასე ნელ-ნელა უმჯობესდება თეატრის მდგომარეობა, რასაც მოსალოდნელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაემატება და ალბათ ორ წელიწადში დასი განახლებულ შენობაში განაგრძობს მუშაობას.

თეატრის წინ გამართულ ფესტივალის საზეიმო გახსნაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი**, ახალციხის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი,** სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე,** თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შალუტაშვილი**, მესხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ლია სულუაშვილი** და ამ სტრიქონების ავტორი.

ფესტივალის მნიშვნელობის შესახებ თავისი შეხედულება რამდენიმე მოღვაწემ გაგვიზიარა.

**ლია სულუაშვილი** – ჩვენ მაყურებლის განწყობის ამაღლებისთვის ვზრუნავთ, რომელიც სხვადასხვა თეატრის სპექტაკლებს ეცნობა და იგი ჩვენი საქმიანობის აქტიური თანამონაწილე ხდება. ფესტივალი მნიშვნელოვანია, რადგან მაყურებელს პატრიოტიზმის გრძნობა უღრმავდება, რაც დღევანდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. ფესტივალი ხელს უწყობს ქართული კულტურის არეალის გაფართოებას. ქართული დრამატურგია იდგმება უზბეკეთის ქალაქებში: სამარყანდში (ავქ. ცაგარლის „ხანუმა“), ფერგანაში (ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“), კარშის თეატრში (ნ. დუმბაძის „ჰელლადოს“). ყაზახეთში დაიდგა ავქ. ცაგარლის „ხანუმა“. უზბეკეთთან და თურქეთთან ვაფორმებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს....







**გიორგი შალუტაშვილი** – 2006 წელს, როდესაც ავთო ვარსიმაშვილთან და გოგი მარგველაშვილთან ერთად ვაპირებდით ახალციხეში ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი დაგვეფუძნებინა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ფესტივალი ასეთ მნიშვნელობასა და მასშტაბს შეიძენდა. თავიდან, ქალბატონ ლია სულუაშვილთან ერთად, ჩაფიქრებული იყო როგორც საქველმოქმედო აქცია. მახსოვს, ამ წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდა იმდროინდელი ადგილობრივი ხელისუფლება. მეც მითხრეს – თქვენ გჯერათ, რომ აქ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები ჩამოვლენო? ფესტივალის მიმდინარეობისას მაყურებელი ასასვლელ კიბესა და სცენაზეც კი იჯდა. თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლის შემდეგ ნინელი ჭანკვეტაძემ თქვა – ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვალთ, თუ არცერთ თეთრს არ ავიღებთო. ასე ჩაეყარა საფუძველი ამ საქველმოქმედო აქციას, რომლითაც დიდი დახმარება აღმოვუჩინეთ თეატრს, მაგრამ ამ ფესტივალმა მრავალი ახალი სახელი გამოავლინა და მთელი მხარისთვის ნამდვილ ზეიმად იქცა. ვფიქრობ, ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მესხეთის ისტორიული ფუნქციის აღდგენაში.

კულტურის სამინისტროს სამაგალითო მხარდაჭერით მალე ჩატარდება თეატრის რეაბილიტაცია და ეს ქალაქი გახდება ევროპული თეატრალური კულტურის ერთ-ერთი ცენტრი და ჩემი სურვილია მესხეთის თეატრი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების რიგს შეემატოს, რასაც ნამდვილად იმსახურებს.

**გოგი ყაჯრიშვილი** – როდესაც მესხეთის თეატრზე მიწევს საუბარი ან წერა, არ შემიძლია არ დავიწყო ამ თეატრის ერთგული მაყურებლის შექებით და პატივისცემით. ეს ის მაყურებელია, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს და აღიქვამსყველა წარმოდგენას. არც ერთხელ არ შემინიშნავს, რომ აქაურ მაყურებელს სპექტაკლის მიმდინარეობის დროს დარბაზი დაეტოვებინოს. ასეთი დახვეწილი თეატრალური საზოგადოება, როგორიც ახალციხეს ჰყავს, იშვიათობაა!

ეს ქალაქი და ეს მაყურებელი აუცილებლად იმსახურებს ამ ფესტივალს, რისი მოწმეებიც ჩვენ, სტუმრები ვართ აგერ უკვე თხუთმეტი წელია. ახლაც, მაისის თვეში ახალციხე უკვე მეშვიდე „ეროვნული დრამატურგიის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს“ მასპინძლობს.

წლების განმავლობაში უკვე ჩატარებულმა ახალციხის ფესტივალებმა თავისი ისტორიული ადგილი მართლაც რომ დაიმკვიდრა ქართულ თეატრალურ სფეროში და წლევანდელიც ასევე განსხვავებული და მნიშვნელოვანია.

თითქმის სამი კვირის განმავლობაში ამ თეატრის ორივე სცენაზე წარმოდგენილი იქნება ოცდაერთი ქართულ დრამატურგიაზე შექმნილი კლასიკური და თანამედროვე სპექტაკლი – საქართველოს თითქმის ყველა თეატრის – როგორც სახელმწიფო, მუნიციპალური (ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის, სანდრო მრევლიშვილის სახელობის, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის), ასევე კერძო (თავისუფალი), ილიაუნის თეატრის და მოყვარული (ამბროლაურის) თეატრების მონაწილეობით. პროგრამაშია ასევე საერთაშორისო პროექტები თურქეთიდან და მოლდოვადან.

**გუბაზ მეგრელიძე**

## რედაქციისგან:

**ახლახან, ცნობილი ჟურნალისტი, გუბაზ მეგრელიძე, ქართულ ჟურნალისტიკასა და თეატრმცოდნეობაში შეტანილი ღვაწლისთვის გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

**რედაქცია და საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ულოცავენ ბატონ გუბაზს კიდევ ერთ აღიარებას.**

# არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში!

(მეხუთე გვერდიდან)

**„ეს ყველაფერი ლუსტრაციას ნიშნავდა, რომ რეკომენდაციის შესრულება არ არის იმ ინტერესში, რომელიც გააჩნია „ნაცმოძრაობის" „მებრძოლ კოალიციას". მათი მიზანია, რეკომენდაციები არ შესრულდეს და არ დაკომპლექტდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ეს იმდენად ნათელი გახდა, რომ არ ვიცი, გუშინდელი სკანდალიდან როგორ შეიძლება გამოვიდნენ. თქვეს, რომ იყო გარიგება, ფული გადაიხადეს და ა.შ. სრულიად უნამუსო და უტიფარი განცხადებები გააკეთეს.**

**არ შეიძლება, ასეთი გარიგება შემდგარიყო. ასეთი გარიგება არ ყოფილა, ეს არ არის „ნაცმოძრაობა", რომელიც აღზევებული იყო და დაკავებული გარიგებებით და ხალხის დაშინებით, ინტრიგებით. მათ სხვა რესურსი არ ჰქონდათ. თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოსთვის ასე უკეთესია, რომ რეკომენდაცია შესრულდეს, რატომ შეიძლება იმ იდეას უპირისპირდებოდეს, რაც აქვთ ხაზეიშვილსა და კეზერაშვილს?!"**, – განაცხადა **გია ვოლსკიმ**.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე 17 თვით ადრე თამამი და სწორი გადაწყვეტილებაა, არაერთისთვის დაგვიანებული, რადგან მიაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" არ არის პარტია, მისი პოლიტიკოსები არიან საზოგადოების მეტასტაზები, რომლებიც მოსაკვეთნი არიან პოლიტიკური ცხოვრებიდან.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის" უცხოელი ლობისტები აბსოლუტურად იდენტური მესიჯ-ბოქსით ლაპარაკობენ, რასაც ჰქვია კანდიდატის სტატუსის მოუნიჭებლობა და უვიზო რეჟიმის გაუქმება, ეს მეტყველებს, რომ უნისონში მუშაობენ.

**„ისევე როგორც „ნაცმოძრაობა", მათი უცხოელი ლობისტებიც არიან საქართველოს საზოგადოების წინააღმდეგ. რაც ძალიან სამწუხაროა ცალკეული ევროპარლამენტარები საქართველოში აღვივებენ ანტიდასავლურ განწყობებს. რაც შეეხება მომავალში როგორ იქნება ნაცების მონაწილეობა სხვადასხვა სტრუქტურაში, ბუნებრივია, კანონი და მათ შორის შრომის კოდექსი არ დაირღვევა. განსხვავებით ნაცრეჟიმის ეპოქისა, პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით ხალხს არ ითხოვენ სამსახურებიდან. ვფიქრობ, რომ არჩევით ორგანოებში არ უნდა მოხვდნენ „ნაცმოძრაობის" დეპუტატები, რასაც, როგორც 2024 წლის საპარლამენტო, ასევე შემდგომში ადგილობრივ არჩევნებზე ხალხი გასცემს პასუხს.**

**როდესაც ოპოზიცია არის ჯანსაღი და კონსტრუქციული სამოქალაქო საზოგადოება, იქ დემოკრატია გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე აი, ამ დესტრუქციული, ბოროტი ძალის პირობებში. ასე რომ, ვფიქრობ, საზოგადოება ამ ყველაფერზე სათანადო დასკვნას აკეთებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს მომდევნო არჩევნებზე"...**

* * *

ანალიტიკოსი „ხალხის ძალის" წარმომადგენელი **დავით ქართველიშვილი** თვლის, რომ „ქართული ოცნების" თავმჯდომარის განცხადება არის ეროვნული ხელისუფლების სტრატეგიულ კონტრშეტევაში გადასვლა, რასაც ქვეყანა ელოდებოდა.




**„როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის დეპუტატების 5 ნაწილში იფეთქა ეროვნულმა, პატრიოტულმა, სახელმწიფოებრივმა შეგრძნებამ და მათ თავის ხმები მიამატეს უმრავლესობის იმ ხმებს, რომელიც რეალურად აკლდათ იმისთვის, რომ 12 პუნქტიანი დათქმებიდან ერთ-ერთი პუნქტი შესრულებულიყო და მათ ეს გააკეთეს. ყველაფერი პატრიოტული, ქართული, სახელმწიფოებრივი „ნაციონალური მოძრაობის" სექტაში გაღიზიანებას და მიუღებლობას რომ იწვევს, ეს ხომ არახალია ჩვენთვის.**

**წარმომიდგენია რა რთულ მდგომარეობაში არიან ისინი იმ ძალების წინაშე, რომლებმაც დავალება და ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს იმაში, რომ ჩაეგდოთ 12-პუნქტიანი დათქმებიდან ერთ-ერთი პუნქტი, მაგრამ მათ რიგებშიც კი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ თავის ქართულ ფესვებთან ძარღვი ბოლომდე არ აქვთ გაწყვეტილი"**, – აცხადებს **დავით ქართველიშვილი**.

თამთა ქარჩავა

# გამოცემა FINANCIAL TIMES საქართველოს მონაწილეობით წყალქვეშა ინტერნეტსადენის პროექტის შესახებ

**„1100 კილომეტრის სიგრძის, 45 მილიონი ევროს ღირებულების სადენის დააკავშირებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს კავკასიასთან შავი ზღვის საერთაშორისო წყლების გავლით. ევროკომისიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროექტის მიზანია რეგიონის დამოკიდებულების შემცირება რუსეთზე ტრანზიტით გამავალ სახმელეთო ოპტიკურბოჭკოვან კავშირზე"**, – წერს გამოცემა.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, ევროკავშირმა და თბილისმა საქართველოში ციფრული კავშირის გაუმჯობესებისთვის შავი ზღვის სადენის საჭიროება 2021 წელს განსაზღვრეს, თუმცა უკრაინაში დაწყებულმა ომმა პროექტს დამატებითი ბიძგი მისცა.

**„ინტერნეტკაბელების მიმართ ყურადღება ჯაშუშობასთან დაკავშირებული გლობალური შეშფოთების ფონზე გაიზარდა, რადგან ხმელეთზე გამავალი ხაზები და სადგურები დაუცველად ითვლება. ამასთან, გაზრდილია წყალქვეშა კაბელებსა და სხვა წყალქვეშა ინფრასტრუქტურაზე შესაძლო დივერსიების რისკი, რისი მიზეზიც გასული წლის სექტემბერში ჩრდილოეთ ნაკადის გაზსადენებზე მომხდარი აფეთქებები გახდა.**

**რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთს მრავალ მარშრუტს შორის, რომლითაც ხდება ციფრული მონაცემების გადაცემა აზიასა და ევროპას შორის, აზიისა და კავკასიის ზოგიერთ ნაწილში კი ის არის კავშირის განუყოფელი ნაწილი, რაც პოლიტიკოსთა შეშფოთებას იწვევს რუსეთზე კავშირგაბმულობის სფეროში ზედმეტად დამოკიდებულების გამო"**, – წერს გამოცემა.



ევროპარლამენტში საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერი აცხადებს, რომ შავი ზღვის კაბელი არის მოწინავე პროექტი და ევროკავშირისთვის რეგიონული პრიორიტეტი.

**შავი ზღვის სადენის პროექტი არის ევროკომისიის „გლობალური კარიბჭის" ინიციატივის ნაწილი. ის სთავაზობს განვითარებად ქვეყნებს პეკინის მიერ დაფინანსებული ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურის (სარტყელისა და გზის ინიციატივა, ციფრული აბრეშუმის გზის ინიციატივას) ალტერნატივას. ევროპის საინვესტიციო ბანკმა შავ ზღვაში სადენის გაყვანის პროექტზე 20 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფის წინადადება წარადგინა.**

ევროკომისიაში აცხადებენ, რომ საქართველოსთვის ევროკავშირთან მონაცემთა გადაცემის გაუმჯობესება მთავარი პრიორიტეტია, ხოლო ბლოკის ინვესტიცია სადენის პროექტში შეესაბამება „გლობალური კარიბჭის" სტრატეგიის მიზნებს. ამასთან, როგორც **Financial Times**-ი წერს, შავ ზღვაში სადენის გაყვანის შესაძლებლობას ბრიტანული სატელეკომუნიკაციო კომპანია Vodafone -იც სწავლობს. პროექტი სახელწოდებით Kardessa დააკავშირებს უკრაინას ბულგარეთთან, თურქეთთან და საქართველოსთან, შემდეგ კი მიწისქვეშა სადენით სომხეთთან, ყაზახეთთან და აზიის სხვა ქვეყნებთან.




# „არა იმპერიალისტურ სამიტს!!!"

**ჰიროსიმაში, „დიდი შვიდეულის" სამიტის პარალელურად, იაპონელი აქტივისტები საპროტესტო მსვლელობას მართავენ.**

მომიტინგეები „დიდი შვიდეულის" სამიტის საწინააღმდეგო მსვლელობისას სკანდირებენ – „არა G7-ს", „არა იმპერიალისტურ სამიტს!" „არა ბირთვულ ომს".

აქტივისტების თქმით, მათი აღშფოთება გამოიწვია ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის ლიდერების იმ ქალაქში ჩამოსვლამ, რომელიც 1945 წელს მსოფლიოში პირველი ატომური დაბომბვის შედეგად განადგურდა. დემონსტრანტები ასევე ადანაშაულებენ „დიდი შვიდეულის" წევრ ზოგიერთ ქვეყანას რეგიონული დაძაბულობის გაღვივებაში ჩინეთთან.

სამიტში მონაწილეობენ შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა და იტალია, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლები. შეხვედრაზე „დიდი შვიდეულის" ლიდერები, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილავენ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას.

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი: არ ვართ იმ ეტაპზე, როდესაც რუსეთს დავუწესებთ სანქციებს



თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი** აცხადებს, რომ თურქეთს რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან განსაკუთრებული და მზარდი ურთიერთობა აქვს.

**„ჩვენ არ ვართ იმ ეტაპზე, როდესაც ჩვენ დავუწესებთ რუსეთს სანქციებს, როგორც დასავლეთმა გააკეთა. არ ვართ შებოჭილი დასავლეთის სანქციებით. ჩვენ ვართ ძლიერი სახელმწიფო და გვაქვს პოზიტიური ურთიერთობა რუსეთთან"**, – აღნიშნა ერდოღანმა. როგორც რეჯეფ თაიპ ერდოღანმა აღნიშნა, რუსეთს და თურქეთს ერთმანეთი ყველა სფეროში სჭირდებათ.

## ანტისამთავრობო გამოსვლები ბელგრადში

**ბელგრადში ათობით ათასი ადამიანი გამოვიდა ანტისამთავრობო დემონსტრაციაზე. დემონსტრანტები სერბეთში მომხდარი მასობრივი სროლის ორი შემთხვევის შემდეგ პრეზიდენტის, შს მინისტრისა და სხვა მაღალჩინოსნების გადადგომას მოითხოვდნენ.**

საპროტესტო აქცია ოპოზიციური პარტიების მიერ იყო ორგანიზებული. ხელისუფლების ოპონენტთა მტკიცებით, პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის მთავრობამ ვერ შეძლო მედიაში ძალადობის პროპაგანდის აღკვეთა და კრიმინალის წინააღმდეგ სათანადო მოქმედება.



დემონსტრანტებმა პრეზიდენტის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბრატისლავ გასიჩისა და სერბეთის უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელის გადადგომა მოითხოვეს. ეს მაისის თვეში სერბეთში ძალადობის წინააღმდეგ გამართული მესამე ხალხმრავალი დემონსტრაციაა. მთავრობა ოპოზიციის ბრალდებებს უარყოფს და ოპონენტებს საპროტესტო აქციების პოლიტიკური მიზნებისთვის ორგანიზებაში სდებს ბრალს **შეგახსენებთ, რომ 3 მაისს ბელგრადის ერთ-ერთ სკოლაში მოზარდმა ცხრა მოსწავლე და დაცვის ერთი თანამშრომელი იმსხვერპლა. ორ დღეში დედაქალაქის მახლობლად მდებარე სოფელში 21 წლის მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რვა ადამიანი მოკლა.**

## „ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები“

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა საზოგადოებას ახალი გამოცემა წარუდგინა. წიგნი „ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები“ საარქივო ფონდებში დაცულ ხელნაწერებსა და ისტორიულ საბუთებს აერთიანებს.** ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.



**„გამოცემაში შეტანილია ეროვნულ არქივში დაცული IX-XIX საუკუნეების ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთების მოხატულობები და შემკულობები, გამორჩეული ანდერძ-მინაწერები და ავტოგრაფული ნუსხები, UNIEXO-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეტანილი ნუსხები, ბოლო ხანებში გამოვლენილი პალიმფსესტები და სხვა სიახლეები, ხელრთვები და ბეჭდები. რედაქტორ-შემდგენელი – ქეთევან ასათიანი; რედაქტორები – ნათია დუნდუა, დალი ჩიტუნაშვილი, მანანა ჭუმბურიძე. აღსანიშნავია, რომ არქივში 1000-მდე ხელნაწერი და 15 000-ზე მეტი ისტორიული საბუთი ინახება. ახალი გამოცემის პრეზენტაცია საგამოფენო პავილიონში გაიმართა. ღონისძიებას სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ“.**

## ირაკლი მეზურნიშვილი:

## საქართველოსა და იაპონიას ძალიან ბევრი რამ აკავშირებს!



**ფილმის შექმნის იდეა კულტურის კომიტეტში დაიბადა, როდესაც იაპონიის ელჩთან შეხვედრაზე ვსაუბრობდით ორ ქვეყანას შორის კულტურულ ურთიერთობებზე და იქ გაჩნდა იდეა, რომ ჩვენ შეგვექმნა ფილმი, რადგან თურმე ძალიან ბევრი რამ აკავშირებს ამ ორ ქვეყანას. ძალიან ძლიერი ემოციური გზაა, ტრადიციების პატივისცემა, ოჯახის კულტი, უფროსების პატივისცემა და ძალიან საინტერესო მოგზაურობა ელის თითოეულ მაყურებელს,** – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ფილმის „საქართველო – იაპონია,საუკუნის მესამედი“ ავტორმა ირაკლი მეზურნიშვილმა განაცხადა.

**„რამდენიმე წლის წინ ჩემს გუნდთან, სტუდია „პულსთან“ ერთად დავიწყეთ სრულიად ახალი მიმართულება – დიპლომატიის დოკუმენტალისტიკა. გადავიღეთ რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს ორი ქვეყნის მეგობრობის ისტორიას, ქრონოლოგიას. ამ ფილმში მონაწილეობა მიიღეს ელჩებმა, რომლებიც იყვნენ მოვლენილი მისიებით ჩვენს ქვეყანაში. საინტერესო იყო ის ხაზი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ. ეს იყო მათი თვალით დანახული საქართველო. პოლიტიკური პროცესების შეფასება, ეს იყო ძალიან ობიექტური და ამითაც ფასობს ეს პროექტი. მთელი მსოფლიოს მოვლა მიწევდა, თავგადასავლებით სავსე პროცესი იყო. პირველი იყო აშშ-თან, შემდეგ დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და ყველა ამ ფილმის პრემიერა შედგა „იმედის“ ეთერში.**

**წარმოვიდგენდი, რომ იაპონიის სერია შეიქმნებოდა. ეს იდეა კულტურის კომიტეტში დაიბადა, როდესაც იაპონიის ელჩთან შეხვედრაზე ვსაუბრობდით ორ ქვეყანას შორის კულტურულ ურთიერთობებზე და იქ გაჩნდა იდეა, რომ ჩვენ შეგვექმნა ფილმი, რადგან თურმე ძალიან ბევრი რამ აკავშირებს ამ ორ ქვეყანას.**

**დღეს ტოჩინოშინმა დაასრულა კარიერა. მან ერთგვარი რევოლუცია მოახდინა. სუმო და ძიუდო იაპონიაში რელიგიის რანგში არის აყვანილი, საოცარი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ეს ორი სახეობა და ორივეში ძალიან დიდი წარმატებები გვაქვს. ტოჩინოშინმა იმხელა კვალი დატოვა იაპონიაში, ყველაზე დიდი ელჩის როლი შეასრულა საქართველოს პოპულარიზაციის კუთხით და ეს თითქმის წარმოუდგენელიც იყო, იმიტომ რომ სუმო ძალიან დახურულია და იქ მოხვედრა ძალიან რთულია“,** – აცხადებს ირაკლი მეზურნიშვილი.

# შარდენი და მეგრელები



ჟან შარდენი

**ჟან შარდენი ტიპური ვაჭარი იყო. სპარსეთისკენ ხელმეორედ დაძრული, ის 1672 წლის აგვისტოში, კონსტანტინოპოლის გავლით სამეგრელოში ჩამოვიდა და 1673 წლის 28 თებერვალს თბილისიდან გაემგზავრა.**

**ეს ის პერიოდია, როცა დაშლილ ქვეყანაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ფეოდალური ანარქია მძვინვარებდა, ხოლო ოსმალეთი და სპარსეთი აქტიურად უტევდნენ დასუსტებულ ქართულ სამეფო-სამთავროებს.**

**ასეთ მძიმე პირობებში (და ეს მასაც აქვს დეტალურად აღწერილი) მეგრელებს ჩვეული, გადამეტებული თავაზიანობისა და პატივისცემის გამოვლენა არ შეეძლოთ, უფრო მეტიც – ფრანგის ცრუმისიონერობის გამოაშკარავების შემდეგ მისი სიმდიდრის მისაკუთრება სცადეს. ამის გამო შარდენი თავის თხზულებაში („მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“) მეგრელებს, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხებს, „ველურებს“, „ბარბაროსებს“ და „უმეცრებს“ უწოდებს.**

შარდენის ნაშრომი, რომელშიც ავტორს, მისივე თქმით, თარგმნილი და შეტანილი აქვს იტალიელი მისიონერის „ჯუზეპე მარია ძამპის (თეატინელთა ორდენის ბერი. სამეგრელოში ცხოვრობდა 1649-1665 და 1669-1679 წლებში) ჩანაწერები, თავიდან ბოლომდე გაჯერებულია მეგრელების ლანძღვით, დაცინვით. ფრანგი და იტალიელი ხმაშეწყობილი ნეგატიურობით აფასებენ თითქმის ყველას და ყველაფერს.

შარდენი წერს, რომ სამეგრელოში გამოიფიტა შიმშილისგან და შიშისგან. ის იხსენებს ძამპთან შეხვედრას და მის სიტყვებს: „ღმერთმა შეუნდოს მათ, ვინც თქვენ აქ ჩამოსვლა გირჩიათ და ამით ამ უბედურებაში ჩაგაგდოთ... უმჯობესი იქნება, თუ პირველი შემთხვევისთანავე დაბრუნდებით კონსტანტინოპოლში“.

პირველი შემთხვევისთანავე ის არ წავიდა და ამბობს, რომ მეგრელები საწყლები და გაჭირვებულები არიან, რომ უარესი ჩაცმულობა სამყაროში არ არსებობს და ღატაკი ხალხი თითქმის შიშველი და ფეხშიშველი დადის.

ძამპის შარდენისეულ თარგმანში აღნიშნულია, რომ ამ ხალხს შორის ძალიან ცოტამ თუ იცის წერა-კითხვა, ისიც ქალებმა, თუმცა ბევრი მათგანი ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობსო. აქ მოჰყავს ციტატა, რომელიც თითქოს წმ. ბასილიმ უთხრა ვიღაცას სადღაც: „შენი საქმეა იმსჯელო საჭმელზე და არა საღმრთო და წმინდა დოგმატების შესახებ“, და ამ შედარებას მეგრელ ქალებთან მიმართებაში „სამართლიანს“ უწოდებს.

„მოგზაურობაში“ განსაკუთრებით მუქ ფერებში არის მოცემული რწმენასთან დაკავშირებული საკითხები: მეგრელებს აკლიათ ღვთისმოსაობა. თავდაპირველად ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანობის გზას ადგნენ, ახლა კი უმეცრები და დაბრმავებულები არიან, არ იციან რა არის რელიგია. მღვდლებმა, ეპისკოპოსებმა და კათალიკოსმა არ იციან წერა-კითხვა და თავიანთი მოვალეობები, მათი გალობა კი, რასაც იშვიათად ასრულებენ, ძალიან უსიამოვნოა. ისინი გაუნათლებლები და ხარბები არიან. მათ ერთადერთ საზრუნავს საწყალი ხალხის მოტყუება, სისხლის გამოწოვა, საკლავის გაჩანაგება და უკანასკნელი ლუკმის გამოგლეჯვა წარმოადგენს. მღვდლად – ეპისკოპოსი, ხოლო ეპისკოპოსად – კათალიკოსი ნებისმიერ პირს შემოწმების გარეშე აკურთხებს, რადგან თითოეული კურთხევა შემოსავალს გულისხმობს. სასულიერო პირები გასამრჯელოს გარეშე არ წირავენ, არ იღებენ აღსარებას, არ ასრულებენ ნათლისღების და დაკრძალვის წესს. ეპისკოპოსების ძირითადი საქმიანობა ყოველდღიური ქეიფია. ფუფუნების მოსაპოვებლად ისინი ქვეშევრდომების თურქებისთვის მიყიდვასაც არ ერიდებიან. აცვიათ მდიდრულად. ცოდვების მონანიების ნაცვლად ხატებს სწირავენ ოქროს, მარგალიტს. საეპისკოპოსო საყდრები ძვირფასეულობით არის შემკული, განსხვავებით ეკლესიებისგან, სადაც თავლაზე მეტი უსუფთაობაა, ბარძიმად გამოყენებული ხის ჯამი გულისამრევია, ბარძიმის საწმენდები – ბინძური და მყრალი, ფსალმუნები – დანესტილი, დაჭიანებული, თაგვებისგან დაღრღნილი. რელიკვიები, სიწმინდეები (კვართი, წმინდანთა ნაწილები და ა.შ.) მრავლად აქვთ, მაგრამ მათ მიმართ ხალხის უპატივცემლობა ზღვარს სცილდება. მსგავსად კერპთაყვანისმცემლებისა, მათ მხოლოდ ლამაზი, ძვირფასი ლითონისგან გაკეთებული ხატებისა ეშინიათ; მეგრელები აღსარებას ფაქტიურად უარყოფენ, შეიძლება იმიტომაც, რომ სასულიერო პირები აღსარების საიდუმლოებას არ ინახავენ და ყველას ეუბნებიან. ამის გამო ისინი კვდებიან აღსარების გარეშე, როგორც პირუტყვნი. იგივე შეიძლება ითქვას ნათლობის წესზეც, რომელსაც მისი თანმდევი ლხინის ხათრით ასრულებენ. ვისაც არ შეუძლია თუნდაც ერთი ღორი დაკლას, მისი შვილები მოუნათლავი იხოცებიან; ეს ხალხი ეკლესიაში ისე ლაყბობს და ხორხოცობს, როგორც ბაზრობაზე. ისინი წმინდანების სახელებს არ ატარებენ, რადგან არ არიან ჭეშმარიტი მორწმუნეები. მეგრელებმა ისიც კი არ იციან, რომ პირჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა და არა ღორის ხორცის ჭამისა ...

ასეთი იყო ევროპელების თვალით დანახული მეგრული რწმენა.

ძამპი და, შესაბამისად, შარდენი ხაზს უსვამენ ცოლქმრული ურთიერთობის ხანმოკლეობას. სამეგრელოში ხშირიაო გაყრა, მიტოვება, მრავალცოლიანობა, ქორწინება კი ვაჭრობა არისო.

ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ბარბაროსულს უწოდებს მეგრელების გლოვას – კივილს, სახის დაკაწვრას, მჯიღისცემას.

შარდენი ვერ ხედავს კავშირს შრომასა და სიმღერას შორის და წერს, რომ მეგრელები მუშაობის დროს გამაყრუებლად გაჰკივიან. აქ მოჰყავს დამცინავი შედარება, თუ როგორ ახალისებენ ხმამაღალი სიმღერით აღმოსავლეთის ქვეყნებში ხარებსა და აქლემებს მძიმე ტვირთის ტარებისას.

ტყვეებით ვაჭრობას, რაც არაერთ ფეოდალურ ქვეყანაში იყო გავრცელებული, შარდენი მეგრელების ცუდ ბუნებას მიაწერს.

ფრანგს არ მოსწონს საბაჟოს ზედამხედველების იერი და მოიხსენიებს, როგორც „ავაზაკურს“, „ჯიბისმჭრელს“.

ალაგ-ალაგ, თხზულებაში, საქებარ სიტყვებსაც „ვაწყდებით“, მაგალითად: „მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია. კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფიალს ითხოვენ... თმის დავარცხნა და დახვევა ევროპელი ქალების მსგავსად იციან. აქვთ გამჭრიახი და მახვილი გონება. არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი, მაგრამ ამავე დროს არიან ამაყნი, ქედმაღალნი, ბოროტნი, დაუნდობელნი, ულმობელნი და უტიფარნი“.

ასევე: „მეგრელებს მამაცობა და შეუპოვრობა არ აკლიათ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებული არიან შუბის ხმარებაში. მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს... ბუნება უაღრესად მდიდარი აქვთ... სამეგრელოს თაფლი საუცხოოა... სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი... ღორის ხორცი აქ დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოოა. ვერსად სხვაგან უკეთეს ხორცს ვერ იგემებ... მსოფლიოში ყველაზე მეტ ღორის ხორცს მეგრელები ჭამენ... შინაური ფრინველი ძალიან კარგია... ირემი, შველი, კურდღელი... ეს ხორცი ძალიან გემრიელია და უკეთესს ვერაფერს შეჭამ... დიდი რაოდენობით არის კაკაბი, ხოხობი, მწყერი... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი“.

აი, სამეგრელოს ღვინოს კი (ფრანგულთან შედარებით, დაყენების წესების დაწუნებით), მთელ აზიაში საუკეთესოს უწოდებს; მაგარი, ბლანტი, დასალევად სასიამოვნო და კუჭისთვის მარგებელიაო. შარდენი წერს, რომ მეგრელები ბევრ ღვინოს სვამენ, სუფთას, წყალგაურეველს; დალევაზე უარის თქმა უზრდელობად ითვლება, ისევე, როგორც მოთხოვნა; აზნაურები შესულები პირდაპირ დოქებიდან სვამენ. ისინი თანამეინახეებს ბოლომდე დალევას აიძულებენ, თუმცა ამ დროს ერთმანეთს ზრდილობით მიმართავენ.

თავის მხრივ, კომერსანტი შარდენი წუწურაქიც იყო და მფარველობის (ფირმანის) სანაცვლოდ ქართველი მეფე-მთავრებისთვის მირთმეულ უმნიშვნელო საჩუქრებზეც სინანულს გამოხატავს. ანაკლიაში ყოფნის პერიოდში საჭმლის „პურის, ღვინის, ხორცის, ლორის, ხოხბის, თაფლის სანაცვლოდ დანის, მაკრატლის, ქაღალდისა და ბამბის გაცემას ის „ორმაგ გადახდევინებას“ უწოდებს („არ მსიამოვნებდა, მაგრამ ვითმენდი“).

ამდენად, თავშივე აღვნიშნე, რასაც წარმოადგენდა ეს ფრანგი ბატონი.

**იაგო ჭაავა,**
595-21-65-66

შარდენის თანამგზავრის მხატვარ გრელოს მიერ შესრულებული ძველი თბილისის პირველი გრაფიკული ჩანახატი



მოვლენის წინ

## დევიდ მაკქიუ:

# „საქართველოს მსოფლიოზე ნიკაზე უკეთესი ელჩი არ ეყოლება“




**„საქართველოს 2023 წლის მსოფლიო თასზე ნიკაზე უკეთესი ელჩი არ ეყოლება“, – ასე აფასებს 28 წლის ნიკა ამაშუკელის მსოფლიო თასზე მიწვევას მისი პირადი მასწავლებელი, წარსულში ცნობილი ირლანდიელი მსაჯი დევიდ მაკქიუ, რომელსაც ქართული სამსაჯო სექტორის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.**

ამაშუკელი არა მხოლოდ პირველი ქართველი რეფერი, არამედ ტიერ 2 სარაგბო ქვეყნის პირველი წარმომადგენელია, რომელიც მსოფლიო თასს მოემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საუკეთესო მსაჯი მსოფლიო თასზე მივლენილ კოლეგებს შორის ასაკით ყველაზე უმცროსია.

**„ნიკას მოხვედრა 2023 წლის მსოფლიო თასზე არა მხოლოდ მისი უდიდესი პერსონალური მიღწევაა, არამედ მთლიანად ქართული რაგბის დაფასება და წარმატებაა. საქართველოს რაგბის კავშირმა სამსაჯო რეფორმებში უდიდესი ინვესტიცია განახორციელა და ეს წარმატება ამის შედეგია.**

**ნიკა ამაშუკელთან 2018 წლიდან ვმუშაობ და ძალიან კარგად ვიცი, თუ რამხელა შრომა და მსხვერპლი გაიღო მან აქ მოსახვედრად. ამ აღიარებას წინ უძღოდა მოედანსა და მის მიღმა უდიდესი შრომა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ არ აქვს მნიშვნელობა საიდან მოდიხარ. მთავარია, ბევრი იშრომო, იყო მზად და ყველაფერს მიაღწევ“** – აღნიშნავს მაკქიუ.

აქვე გაუწყებთ, რომ მსოფლიო რაგბიმ არბიტრები 9 ქვეყნიდან შეარჩია. ელიტური, ანუ პირველი დონის სახელმწიფოებიდან მსოფლიო თასზე მსაჯი არ ეყოლებათ არგენტინასა და შოტლანდიას. ახლა კი რჩეულთა 19-ეულს გავეცნოთ:

**მოედნის მსაჯები:** ამაშუკელი, ბარნსი, კარლი, დიქსონი, პირსი (ყველა – ინგლისი), ბერი, გარდნერი (ორივე – ავსტრალია), ოკიფი, უილიამსი (ორივე – ახალი ზელანდია), ბრაისი (ირლანდია), პეიპერი (სამხრეთ აფრიკა), რეინალი (საფრანგეთი).

**გვერდითი მსაჯები:** ბასბი (ირლანდია), ბრუსე (საფრანგეთი), დომენი (ახალი ზელანდია), ევანსი (უელსი), პიარდი (იტალია), რიდლი (ინგლისი), ვეი (ავსტრალია).

◎ თავაწეული

## პატივს ვცემთ, მაგრამ...



**სასახელო 17-წლიანი კარიერის განმავლობაში ლევან გორგაძე დაახლოებით 1300-ჯერ(!) გავიდა დოჰიოზე და 102 ბაშოზე გამართული ბრძოლებიდან 681 მოიგო, ხოლო 614 წააგო.**

სუმოს ქართველმა ლეგენდამ დიდების გვირგვინი იმპერატორის თასის დაუფლებით 5 სეზონის წინათ დაიდგა, ხოლო ოთხჯერ მეორე ადგილი დაიკავა. შარავანდედის მოხვეჭამ და ჩემპიონობამ ოძეკის პრესტიჟული სტატუსიც მოუპოვა, მაგრამ დადგა ყოველი სპორტსმენისთვის გარდაუვალი მომენტი – ნაცუ ბაშოს მეორე დივიზიონამდე დაქვეითებულმა ტოჩინოშინმა ზედიზედ მეხუთე მარცხის შემდეგ ასეთი მტკივნეული განცხადება გაავრცელა:

„მრცხვენია, ასე რომ გამოვდივარ და ბოდიშს ვუხდი მაყურებელს. მარცხენა მკლავს ისევ ვერ ვიყენებ, თანაც ძველი ტრავმაც მაწუხებს. მოკლედ, მივდივარ!“

ბუნებრივია, პატივს ვცემთ ჩვენი სასახელო მამულიშვილის იძულებით გადაწყვეტილებას და მადლობასაც ვუხდით, მაგრამ ხომ არ აჩქარდა? ვიმედოვნებთ, დაფიქრდება.

◎ მეტოქეები

## თუ პლეი-ოფში გავაღწევთ...

**უკვე გაუწყეთ, რომ გაისად 10-დან 28 იანვრის ჩათვლით ჩვენთვის სადებიუტო ევროპის სახელბურთო ჩემპიონატის ჯგუფურ რაუნდში საქართველო „ე“ კვარტეტში (ქალაქი მანჰეიმი) ნიდერლანდებს, შვედეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დაუპირისპირდება.**

ხომ გსმენიათ – მადა ჭამაში მოდისო და იმ შემთხვევაში, თუ მეორე ეტაპზე გავაღწიეთ (რატომაც არა?), პლეი-ოფში ჩვენი ნაკრების შესაძლო მეტოქეები შემდეგი გუნდებიდან იქნებიან:

**„ა“ ჯგუფი** – საფრანგეთი, გერმანია, ჩრდილოეთ მაკედონია, შვეიცარია. **„ბ“ ჯგუფი** – ესპანეთი, ავსტრია, ხორვატეთი, რუმინეთი. **„გ“ ჯგუფი** – ისლანდია, უნგრეთი, სერბეთი, მონტენეგრო. **„დ“ ჯგუფი** – ნორვეგია, სლოვენია, პოლონეთი, ფარერის კუნძულები. **„ვ“ ჯგუფი** – დანია, პორტუგალია, ჩეხეთი, საბერძნეთი.

◎ აუზში

## უკვე – ორბზის!

**ქართული წყალბურთი რომ რენესანსის ეტაპზეა, ეროვნული ნაკრებისა და თბილისის დინამოს რეგულარული მონაწილეობაც მოწმობს ოფიციალურ საერთაშორისო ფორუმებზე. მართალია, ბევრი ამას ნატურალიზებულ ლეგიონერთა სიმრავლეს მიაწერს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოწვეულთა ფონზე ნიჭით გამორჩეულ ახალგაზრდა მოთამაშეთა თაობაც წამოვიდა, რაც პერსპექტივის დასტურიცაა.**



ერთ-ერთ ტალანტს – **ნიკა შუშიაშვილს** უკვე ტიტულებიც ამკობს, განსაკუთრებით კი ის გვახარებს, რომ ისინი მსოფლიო წყალბურთის ერთ-ერთ გრანდში – სერბეთშია მოხვეჭილი.

კერძოდ, ამ დღეებში ნოვი ბელგრადმა ფინალურ სერიაში 2:0 დაამარცხა ცრვენა ზვეზდა და შარშანდელი წოდება შეინარჩუნა, მათ შორის, ბუნებრივია – ნიკამაც. ვულოცავთ! დავძენთ, რომ მეორე მატჩი 14:10 დასრულდა და 10(!) გოლი ესპანელმა გრანადომ გაიტანა.

◎ ევროტურნირები

## იტალიური გაზაფხული

**მოვიდა დრო, ევროპა ლიგას სევილიას ტურნირი ვუწოდოთო – გაიხუმრა საპასუხო ნახევარფინალური რაუნდის დროს ტელეკომენტატორმა და, როგორც ყველა ხუმრობას, ჭეშმარიტების საფუძველი ამ მოსაზრებასაც ჰქონდა.**

მართლაც, ანდალუზიელები რანგით მეორე კონტინენტური საკლუბო ჯილდოს ექვსგზის(!) მფლობელები არიან, თანაც ექვსივე ფინალი მოგებული აქვთ და უკვე მეშვიდედ ითამაშებენ სატიტულო ბრძოლაში, ამჯერად 31 მაისს ბუდაპეშტის პუშკაშ არენაზე რომას წინააღმდეგ, რომელსაც საკუთარი ჯოკერი ჰყავს **ჟოზე მოურინიუს** სახით, ვინც შარშან მარადიულ ქალაქს კონფერენს ლიგა მოაგებინა. ცნობისთვის: წლეულს სამივე ტურნირის ფინალში იტალიელები არიან გასულნი!

**სევილია – იუვენტუსი 2:1 (დ. დ.)**
**(პირველი შეხვედრა – 1:1),**

**„ლევერკუზენი – რომა 0:0**
**(პირველი შეხვედრა – 0:1).**

რაც შეეხება ყველაზე ნაკლებპრესტიჟულ ჯილდოს, მას 7 ივნისს პრაღაში პრემიერლიგიდან გავარდნის კანდიდატი ვესტ ჰემი და ფიორენტინა გაითამაშებენ.

**ალკმაარი – ვესტ ჰემი – 0:1 (1:2).**
**ბაზელი – ფიორენტინა 1:3 (დ. დ. 2:1).**

◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

## რჩეულთა თანავარსკვლავედი

**როგორც მოგეხსენებათ, ნბა-ში უკვე დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციების ფინალური პლეი-ოფები მიმდინარეობს, ხოლო ამასობაში რეგულარული სეზონი შეჯამდა და სიმბოლური ნაკრებები გამოვლინდა:**

**პირველი ნაკრები** – ანტენტოკუნმპო (მილუოკი), ტეიტუმი (ბოსტონი), წლის MVP ემბიდი (ფილადელფია), დონჩიჩი (დალასი), ალექსანდერი (ოკლაჰომა).

**მეორე ნაკრები** – ბატლერი (მაიამი), ბრაუნი (ბოსტონი), იოკიჩი (დენვერი), კარი (გოლდენ სტეიტი), მიტჩელი (კლივლენდი).

**მესამე ნაკრები** – ჯეიმსი (ლეიკერსი), რენდლი (ნიუ იორკი), საბონისი, ფოქსი (ორივე – საკრამენტო), ლილარდი (პორტლენდი).

რაც შეეხება ზემონახსენებ ფინალურ პლეი-ოფებს, დასავლეთ კონფერენციაში დენვერი სერბი ვირტუოზის – იოკიჩის ფენომენალური თამაშით ბევრისათვის სენსაციურად დაწინაურდა ლეიკერსთან – 2:0. ახლა სერია კალიფორნიაში გაგრძელდება.

არანაკლებ საინტერესოდ დაიწყო კონფერენციის ფინალი აღმოსავლეთში, სადაც ერიკ სპოელსტრას გაწვრთნილმა მაიამიმ ბოსტონში ზედიზედ ორი ჩხვლეტა მიაყენა სელტიქსს – 123:116 და 111:105. მეორე შეხვედრა ჰითმა ბოლო პერიოდში 24:9(!) გაქცევით მოიგო. ალბათ მიაქციევდით ყურადღებას, რომ რეგულარულ სეზონში საიმედო დაცვით გამორჩეულმა სტუმრებმა ამჯერად შეტევაშიც მოარგეს გასაღები მეტოქის კალათს, რაც მაშინ, როცა გუნდში ბატლერი და ადებაიო გყავს, სავსებით ლოგიკური გახლავთ. ასე რომ, ორივე სერიაში წინ დრამატული ქამბექებია სავარაუდო.

ახლა კი ძველ სამყაროშიც გადმოვინაცვლოთ, სადაც ევროლიგის ოთხთა ფინალის მონაწილენი კაუნასში შეიკრიბნენ.

მინი-ტურნირი ოლიმპიაკოსისა და მონაკოს მატჩით გაიხსნა, რომელიც ელიტური კვარტეტის დებიუტანტმა ჩინებულად დაიწყო და შესვენებაზე კომფორტული უპირატესობით გავიდა. ბერძნულმა გრანდმა თავისი თამაში მესამე მეოთხედში იპოვა, რომ იტყვიან, ბრძოლა ცალ ფარში გადაიყვანა – 27:2(!) და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე – 76:62.




როგორც მოგეხსენებათ, ფრანგული კლუბის თავკაცის ასისტენტი რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონი **მანუჩარ მარკოიშვილი** მაშინდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტია იტალიური ბენეტონის მაისურით და სატიტულო დუელში ბარსელონასთან დამარცხდა, ამიტომ ვიმედოვნებდით, რომ ჩვენს თანამემამულეს რევანშის აღების შანსი ამჯერად ახალ ამპლუაში მაინც მიეცემოდა. ეს ასეც მოხდა, ოღონდ მხოლოდ მესამე ადგილისთვის ნაკლებად პრესტიჟულ დაპირისპირებაში, რადგან კატალონიელებმა სამეფო კლუბთან პრინციპული ელ კლასიკო უკვე ნეიტრალურ მოედანზე დათმეს – 66:78.

სხვათა შორის, ბლაუგრანამ მრისხანე მეტოქეს მიმდინარე სეზონში საშინაო ფრონტზე გამართული ლიგა ენდესასა და სათასო ბრძოლების უმეტესობა დამაჯერებლად მოუგო, მაგრამ უმთავრეს გამოცდაში სამარცხვინოდ ჩაიჭრა. ასე რომ, ბარსას ლიეტუველ დამრიგებელ იასეკივიაჩუსის გათვლა – ტრიუმფს თანამემამულე გულშემატკივართა მხარდაჭერით ვიზეიმებო, ოცნებადვე დარჩა.

ჩაროზად გაუწყებთ, რომ **თორნიკე შენგელიას** ვირტუსი იტალიის სერია – ა-ს ნახევარფინალში გავიდა: ბრინდიზი – ბოლონია 95:100 (სერიის ანგარიში 0:3). ჯვაროსანთა კაპიტანი სტუმრებს 25 წუთში 17 ქულით, 9 მოხსნითა და 3 პასით შეეწია (მატჩის MVP)!




# როცა ბოდიში წამალი არ არის!

## ანდრია გვიდიანი: თემურ ჭყონიას ქველმოქმედების სახით ერთი კანფეტი არასდროს უჩუქებია ბავშვებისთვის და ახლა გაახსენდა თურმე გაჭირვებული ოჯახების და ბავშვების არსებობა!!!

ექსპერტი **ანდრია გვიდიანი** სოციალურ ქსელში „მაკდონალდსის“ გამოკრულ ბანერებს ეხმიანება და აღნიშნავს, რომ **ბილბორდზე დატანილი ინფორმაცია არის მარტივი ტყუილი, რადგან ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საქართველოში, 235 ათას ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს, ეყრდნობა ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველობის დროს გამოქვეყნებულ 2021 წლის ანგარიშს.**

მისი თქმით, თემურ ჭყონია არის ქართული ოპოზიციის, მათი ტელევიზიების, მათი „სირცხვილების“ და მსგავსი რადიკალების ერთ-ერთი დამფინანსებელი. შესაბამისად, ჭყონია არა ბავშვების სიდუხჭირის, არამედ რადიკალი ოპოზიციის, მათი ტელევიზიების და NGO-ების უსახსრობის აღმოფხვრაზე მუშაობს.

**„შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს მაკდონალდსის ბილბორდია. ალბათ ისიც გაგიკვირდებათ, თუ რა შუაშია მაკდონალდსი ამ შინაარსის ბილბორდთან, თუმცა მაინც გადაწყვიტეს ასეთი რეკლამის გავრცელება. იმით დავიწყოთ, რომ ამ ბილბორდზე დატანილი ინფორმაცია არის მარტივი ტყუილი. იმით გავაგრძელოთ, რომ ეს ინფორმაცია ეყრდნობა ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველობის დროს გამოქვეყნებულ 2021 წლის ანგარიშს.**

**გასაოცარი ის არის, თუ რატომ აირჩია თემურ ჭყონიამ ნიჰილისტური კამპანიისთვის „სანდო წყაროდ“ ნინო ლომჯარიას ანგარიში და არა საკითხზე უშუალო პასუხისმგებელი ინსტიტუტი – მაგალითად, საქსტატი?! ასევე, გავაგრძელოთ იმით, რომ მაკდონალდსი ამ კამპანიით პირდაპირ ჩართულია პოლიტიკურ საქმიანობაში, რასაც ვფიქრობ სათაო ოფისიდან შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს. ასევე, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბავშვების სიდუხჭირით შეძრწუნებულმა ჭყონიამ, 2021 წელს „მაკდონალდსის“ შემოსავალი 44%-ით, 136.5 მილიონ ლარამდე გაზარდა. საიდანაც 17.6 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა.**

**მისი კომპანიების მომგებიანობაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ თემურ ჭყონიას ქველმოქმედების სახით ერთი კანფეტი არასდროს უჩუქებია ბავშვებისთვის და ახლა გაახსენდა თურმე გაჭირვებული ოჯახების და ბავშვების არსებობა. ისიც აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ თემურ ჭყონიას კოკა-კოლა საქართველოდან რუსეთში გაზიანი სასმელების ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, რითაც, სხვათა შორის არღვევს საერთაშორისო სანქციებს.**

**რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, აქ ყველასთვის ყველაფერი ცნობილია. თემურ ჭყონია არის ქართული ოპოზიციის, მათი ტელევიზიების, მათი „სირცხვილების“ და მსგავსი რადიკალების ერთ-ერთი დამფინანსებელი. შესაბამისად, ჭყონია არა ბავშვების სიდუხჭირის, არამედ რადიკალი ოპოზიციის, მათი ტელევიზიების და NGO-ების უსახსრობის აღმოფხვრაზე მუშაობს.**

**P. S. – ზევით ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე თემურ ჭყონია სტანდარტული ფარისეველი მანიპულატორია და არანაირი კავშირი არ აქვს ბავშვებზე ზრუნვასთან.“**

# ეს ბილბორდი აბსოლუტურად აცდენილია შინაარსს!



## თემურ ჭყონია „მაკდონალდსის“ ბილბორდის გამო ბოდიშს იხდის

**თბილისის ქუჩებში გამოკრულ „მაკდონალდსის“ ბანერებს მწვავე პოლიტიკური განცხადებები მოჰყვა. 235 000-ზე მეტი ბავშვიანი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს – თემურ ჭყონიას კომპანიის ეს გზავნილი სახელისუფლებო გუნდისთვის ამორალური კამპანიაა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება. „ეს იყო UNISEF-ის გლობალური პროგრამა და ეს ბილბორდი აბსოლუტურად აცდენილია შინაარსს. ეს შეცდომაა, რისთვისაც, ამდენი წელიწადია ბიზნესში ვარ, და პირველად მიწევს ბოდიშის მოხდა. მე არ ვარ ამ ბილბორდის მომხრე, იმიტომ, რომ პროგრამა, რომელიც ჩვენ დასახული გვქონდა? UNISEF-ის ფილოსოფიით დატვირთული, უფრო ქველმოქმედებაზე იყო აგებული, ვიდრე პოლიტიკურ განცხადებებზე. კონკრეტული მიზანი გვქონდა, UNISEF-ის პროგრამა იყო, რომ 1 ივნისს, ბავშვთა დღეს უნდა გაგვეკეთებინა ქველმოქმედება და დევნილთა სამინისტროში გადაგვერიცხა რაღაც თანხა. ემოციური უფრო ვარ დღეს, ვიდრე პროფესიონალი. იმდენად გამომიყვანა წყობიდან ამ ბილბორდმა, რომ გაგრძელებაზეც აღარ ვფიქრობ. მე საიდან გავიგე? გვქონდა დილის შეხვედრა და შემომიტანეს, რომ ექსპერტი ნიკოლეიშვილი ახასიათებდა ამას როგორც ბინძურ კამპანიას. ყველას უფლებაა, როგორც უნდა ისე გამოიყენოს – მთავარია, მე როგორ ვფიქრობ“,** – აცხადებს თემურ ჭყონია.

◎ გახსენება

# უკვდავი სახელი – თენგიზ კალანდაძე



**ჩვენი დაუვიწყარი „ბაბუს“ ყველა მეგობარს, ახლობელსა და ნაცნობსაც კი სათუთად გვაქვს შენახული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ის ნომრები, სადაც ჩვენს უახლოეს მეგობარს, საძმოში გამორჩეულ პიროვნებას, მართლაც მთელ საქართველოში ცნობილ ადამიანს – თენგიზ კალანდაძეს საიუბილეო თარიღს ვულოცავდით, შენახული გვაქვს ის ნომრები, სადაც გულისტკივილით ვიხსენებდით მის ზეციურ საქართველოში გადასახლებას. სიყვარულის, სიხარულისა და ტკივილის ცრემლები გვდის ყოველ გახსენებაზე, რადგან თავადაც ასეთი იყო – გულთან მიჰქონდა ყველას სიხარული თუ ტკივილი, ყველას წარმატება და ხელმოცარვა, გულთან მიჰქონდა, რადგან გულიანი კაცი იყო და სწორედ ამ გულმა ვერ გაუძლო, სწორედ იმ გულმა ვერ გაუძლო, რომელიც უამრავ ჭირსა და ლხინს ინახავდა დიდი ოჯახისას თუ ახლო მეგობრებისას.**

**მეგობრები კი მართლაც უამრავი ჰყავდა, დიდი თუ პატარა, სხვადასხვა პროფესიის, უჩინონიცა და ჩინიანნიც, ჰყავდა ყველგან – თბილისის ყველა უბანში, საქართველოს ყველა კუთხეში, სწორედ მათი ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობდა. იყო მკაცრიც და მომთხოვნიც, პირდაპირიცა და შეუპოვარიც, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი, მტყუან-მართლის პირუთვნელად განმსჯელი, ჭკუის დამრიგებელი და ხელის გამმართავი.**

**მისმა დიდმა სამეგობრომ გადავწყვიტეთ, სწორედ იმ გაზეთიდან მივულოცოთ ჩვენს გამორჩეული საძმოს წევრს, ჩვენს თენგიზ კალანდაძეს დაბადების 83 წელი, რომელი გაზეთიც გამორჩეულად უყვარდა, რომელსაც წლები მფარველობდა, ელოლიავებოდა და რომლის ჟურნალისტებსაც საკუთარი ოჯახის წევრებად თვლიდა.**

**გილოცავთ ზეციურ საქართველოში ნაადრევად გარდასულო ძმაო, დაბადების დღეს. დღეს, რომელიც გამორჩეულად გიყვარდა და რომელსაც სამეგობროში მუდამ ხალისიანად აღნიშნავდი.**

**ვულოცავთ შენი ლამაზი, დიდი ოჯახის წევრებს, შენნაირი ადამიანები ამ ქვეყანას კი განეშორებიან, მაგრამ ისეთ სახელს ტოვებენ, რომელსაც დავიწყება არ უწერია, შენნაირი ქართველები დროებით სცილდებიან თვალთახედვას, რათა ამქვეყნად დათესილი სიკეთით კვლავაც გაგვახსენონ თავი, რაოდენ სავალალოა, რომ შენნაირი კაცების ნაკლებობას განვიცდით... გილოცავთ, ჩვენო დაუვიწყარო თენგიზ!!!**

**დემურ გადელია, სპარტაკ ქოზულია, მამუკა ვაშაკიძე, ვახტანგ ყოლბაია, ოთარ ჭითანავა, ჯამბულ წულაია, მამუკა ადამია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ბესო კილასონია, ვახტანგ კიკნაძე, საველ მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, გია ციხისთავი, ბაკურ გულუა, თემურ კალანდაძე, თენგიზ ქავთარაძე, გურამ გუნავა, მირზა ქორქაშვილი, რომან დალაქიშვილი, უშანგი დალალიშვილი, ალან თოდუა**

# მადლობა თანაგრძნობისა და გვერდში დგომისთვის

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა თანამშრომელს, ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს, გულწრფელი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ დიდი სიყვარულისა და თანაგრძნობისთვის, რომელსაც ჩემ მიმართ, დაქვირვებული და შვილმკვდარი დედის გადასარჩენად იჩენთ და სამი, ჩემთვის გაუსაძლისი წლის მანძილზე დიდი სიყვარულით იგონებთ თქვენს კოლეგებს – ჩემს მეუღლეს, ცნობილ ჟურნალისტს და საზოგადო მოღვაწეს **ნოდარ ჯაველიძეს** და შვილს **ლაშა ჯაველიძეს.** სამი წელია სიურპრიზად, მათი ხსენების დღესა და დიდ ქრისტიანულ დღესასწაულზე შვებას მგვრის თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული მათი სახელის მოსაგონებელი წერილები თუ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ჩანახატები.



სიტყვა ხომ ყველაზე დიდი მკურნალია, რადგანაც სიტყვა არის ღმერთი! უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის, რომ მიმსუბუქებთ ამ უზარმაზარი ტკივილის ტარებას. თქვენ ხორციელ სიცოცხლესთან ერთად სულიერიც შემინარჩუნეთ, იმ უამრავ ადამიანთან ერთად, რომლებმაც ჩემი ოჯახის დიდი ტრაგედია გულთან მიიტანა.

თქვენს გაზეთში ამ წლების განმავლობაში გამოქვეყნებულმა წერილებმა და განსაკუთრებით **„მღერიან ოქროსფერი მტრედები“** და **„მირონადქცეული დედის ცრემლები“** სულიერი სიმშვიდე მომგვარა.

თქვენ აგრძელებთ იმ ლეგენდარული ჟურნალისტების მიერ გაკვალულ გზას, რომელმაც ამ გაუსაძლის პირობებში სიცოცხლე შეუნარჩუნეს ჩემს უსაყვარლეს, 105 წლის გაზეთს.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით თანაგრძნობისა და პატივისცემისთვის, იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელსაც ჩემი ოჯახის მიმართ იჩენთ.

**პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით,**
**ნოდარ და ლაშა ჯაველიძეების სახელით, თქვენი კოლეგა**
**მერი დიხამინჯია-ჯაველიძე**

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სთხოვს მოქალაქე **კახაბერ შალამბერიძეს (პ/ნ: 60001083400), გამოცხადდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12) და ჩაიბაროს, გაეცნოს შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ მისთვის განკუთვნილ წერილებს“.**




# სამეგობროს ღირსება და სინდისი

**70 წლის** საიუბილეო თარიღი შეუსრულდა თბილისის კიდევ ერთ კოლორიტულ პიროვნებას, ნაღდ ქალაქელს, უკეთილშობილეს ადამიანს, ყველას გვერდში მდგომსა და მოსიყვარულეს, სიყვარულითა და კაცობით გამორჩეულ ძმას და მეგობარს, ჩვენი სამეგობროს ღირსებასა და სინდისს **თემურ ბაბუნაშვილს.**

შვიდი ათეული წელი კაცმა რომ სიკეთის თესვაში გაატარო, თვითონ უნდა იყო დიდი კაცი, რაშიც მისი თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული ოჯახის შვილობა მოსდევს, თემური ღირსეულად ინახავს თავისი მშობლების ხსოვნას. მან ქართული ტრადიციებით აღუზარდა ქვეყანას თავისი ანა და გიორგი, არის ღირსეული მეუღლე და ოჯახის წინამძღოლი, დიდებული და-ძმობის მატარებელი, ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ორი ღირსების ორდენის კავალერი, ქ. თბილისისა და აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ჩვენ მისი სამეგობრო, გულითადად ვულოცავთ **თემურ ბაბუნაშვილს 70 წლის იუბილეს** და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შვილების გამრავლებას და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას ქვეყნის საკეთილდღეოდ მისთვის ჩვეული სიდარბაისლით.

**გულითადი სიყვარულით – მეგობრები!**

## გერმანიის მოქალაქეობის მიღება მარტივდება

**გერმანიის მმართველი კოალიცია გერმანიის მოქალაქეობის მიღების წესის გამარტივებაზე შეთანხმდა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნატურალიზაცია შესაძლებელი იქნება, თუ ისინი გერმანიაში ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობენ. მანამდე ეს ვადა რვა წელი იყო.**

ამასთან ერთად, კანონში ნათქვამია, რომ იმ უცხოელებს, რომლებიც განსაკუთრებით კარგად არიან ინტეგრირებულები გერმანიის საზოგადოებაში, ექნებათ უფლება, გერმანიის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნა ქვეყანაში სამი წლის ცხოვრების შემდეგ დააფიქსირონ. უპირატესობა მიენიჭებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც კარგად ფლობენ გერმანულ ენას, აქტიურად მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობაში ან არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ამას გარდა, იმ უცხოელებს, რომლებიც მიიღებენ გერმანიის მოქალაქეობას, ექნებათ უფლება, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაც შეინარჩუნონ. მანამდე მოქმედი კანონი მათ საკუთარ მოქალაქეობაზე უარის თქმას ავალდებულებდა. როგორც გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამ წესის შემოღების ამოქმედების შემდეგ გერმანიის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში უცხოელებს საკუთარი იდენტობის ნაწილზე უარის თქმა აღარ მოუწევთ.



## პოპულარული წყვილის ქორწინების იუბილე

**პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი ქორწინების 5 წლის იუბილეს აღნიშნავენ.**

სამეფო კარის რიგით მეექვსე მემკვიდრე და ამერიკელი მსახიობი მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ წყვილად ჯერ უინძორების სასახლეში გამართული სამეფო ქორწილის, მოგვიანებით კი სამეფო ოჯახის უფროსი წევრების მხრიდან წნეხის მოტივით, პრივილეგიებზე უარის თქმისა და კანადაში გადასვლის შემდეგ იქცნენ. წყვილის მიმართ ინტერესი კი იმდენად დიდია, რომ ორი დღის წინ ნიუ-იორკში, პაპარაცების დევნის გამო, ისინი ლამის ავარიაში მოხვდნენ.

## სომხეთი რუსეთს კონიაკ „არარატს“ აღარ მიაწვდის

**ერევნის კონიაკის ქარხანა, რომელიც კონიაკს „არარატს“ აწარმოებს, მას რუსეთს აღარ მიაწვდის. ქარხანა 1998 წლიდან ფრანგულ კომპანიას Pernod Ricard-ს ეკუთვნის და რუსეთში კონიაკის ექსპორტის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მან მიიღო.**




რუსეთში კონიაკის მიწოდება უკრაინის წინააღმდეგ კრემლის ფართომასშტაბიანი აგრესიის შემდეგ აიკრძალა. შემდეგ ქარხანამ ის აღადგინა, მაგრამ ახლა საბოლოოდ შეაჩერა. ერევნის კონიაკის ქარხანა პროდუქციის 80%-ს სწორედ რუსეთს აწვდიდა.

## ყველაზე სწრაფი ელექტრომობილის გამოშვება ერთი წლით გადაიდო



**სპორტული ელექტრომობილის Tesla Roadster-ის გამოშვება 2024 წლამდე გადაიდო. როგორც კომპანიის აქციონერთა შეკრებაზე Tesla-ს ხელმძღვანელმა, ილონ მასკმა განაცხადა, Roadster-ის მასობრივი წარმოება 2024 წელს დაიწყება. ოფიციალური ინფორმაციით, Roadster-ი ბრენდის ყველაზე სწრაფ ელექტრომობილად ითვლება – მისი მაქსიმალური სიჩქარე 400 კმ/სთ იქნება, ხოლო 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს ავტომობილი 1,9 წამში ავითარებს.**

ილონ მასკს Roadster-ის გამოშვების თარიღის გადადების მიზეზი არ დაუსახელებია. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ 2017 წელს დაანონსებული ელექტრომობილი 2020 წლიდან გაიყიდებოდა, თუმცა მას შემდეგ ავტომობილის გამოშვება რამდენჯერმე გადაიდო.

# ბარაკ ობამას რუსეთში შესვლა აუკრძალეს

**რუსეთმა სამუდამოდ აუკრძალა აშშ-ის 500 მოქალაქეს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა, მათ შორის, აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და უკრაინის ფინანსთა ყოფილ მინისტრს ნატალია იარესკოს (2014-16 წწ).**

რუსეთში შესვლის აკრძალვა 500 ამერიკელისთვის დაწესებულია რეგულარული ანტირუსული სანქციების საპასუხოდ. შეზღუდვა დაუწესდა არა მხოლოდ მნიშვნელოვან ფიგურებს, არამედ მოქმედ და ყოფილ ოფიციალურ პირებს, სენატორებს, კონგრესმენებს და ექსპერტებს, რომლებიც მოსკოვის თქმით, მონაწილეობენ „რუსოფობიური განწყობებისა და ფეიკების გავრცელებაში“. სიაში იმ კომპანიების ხელმძღვანელებიც არიან, რომლებიც უკრაინას იარაღით ეხმარებიან. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა აეკრძალა რუსეთში ამერიკელი სამართალდამცველების შესვლა.



**„დროა ვაშინგტონმა გაიგოს, რომ რუსეთის წინააღმდეგ მტრულ თავდასხმას უხეში პასუხი მოჰყვება“,** – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 მაისს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5340; ევრო - 2.7352;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1510;
100 რუბლი - 3.1665; თურქული ლირა - 0.1279;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4906;
1000 სომხური დრამი - 6.5651

### ამინდი 22 მაისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე +28 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge